www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 28 ოქტომბერი, 2009 წელი. №235 (2273) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ბლერი ევროკავშირის ხელმძღვანელის პოსტს სულ უფრო შორდება

A7

იზეიმებენ, თუ არა იტალიაში?!

A9

ქართველი 17 წლამდელები - ელიტაში

A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

ნატო-ს მომავალი - კითხვის ნიშანი

მარიკა იაშვილი



ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის რიგებში განხილვის მთავარი თემა ამჟამად ავღანეთია, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ნატო-ს ჯარები თავის პირველ ექსპედიციურ ომს სწორედ ამ ქვეყანაში აწარმოებენ. სწორედ იქ იხოცებიან მისი ჯარისკაცები, ომის წარმატებით დასრულება კი სერიოზულ ეჭვს იწვევს.

აშშ-სა და მისი პარტნიორების აქტიური დებატების უკან, რომლებიც ეხება სამხედრო კონტინგენტის გაზრდას ავღანეთში, სადაც შეიძლება გამარჯვება ვერც მოხერხდეს, უფრო მნიშვნელოვანი კითხვაც იმალება: საერთოდ რისთვის არის საჭირო ალიანსი?

სწორედ ეს იქცა ბრატისლავაში ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე განხილვის მთავარ თემად. ასეთი ეჭვები არა მხოლოდ ავღანეთის, არამედ რუსეთის გამოც გაჩნდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

ჯაზი თბილისში დაიწყო!

ია ვეკუა

მარკუს მილერი

ბიბა ბერიკაშვილის ფოტოები

თუ თბილისში სასწაული შეიძლება მოხდეს, ეს უთუოდ ჯაზ ფესტივალის "ბრალია". გუშინ ფესტივალმა პირველი სასწაული მოახდინა - მსმენელი ჯაზის ორი გენიოსის - მარკუს მილერისა და ჯეიმს კარტერის ბენდების მიერ შესრულებული მუსიკის რიტმებში გაეხვა. ეს ყველაფერი ორწლიან ლოდინად ნამდვილად ღირდა.

პირველი საფესტივალო დღე ჯეიმს კარტერის კვინტეტმა გახსნა მესაყვირე კორი უილკესის, პიანისტ ჯერარ გიბსის, დრამერ ლეონარდ კინგისა და ბასისტ რალფ არმსტრონგის შემადგენლობით. პირველივე აკორდებიდან ცხადი გახდა, წინ ჯაზის ნამდვილი ფეიერვერკი გველოდა და ასეც მოხდა - მსმენელი მაშინვე მოექცა მუსიკალურ ტრანსში, საიდან გამოსვლაც უბრალოდ არავის სურდა. ბენდს ჯეიმს კარტერის ბენდი ჰქვია, თუმცა ძნელია განსაზღვრო კონკრეტულად ვინ შეიძლება მის ლიდერად ჩაითვალოს. ბენდის თითოეული წევრი ინსტრუმენტს შენს თვალწინ ისე ათვინიერებს, რომ უბრალოდ ვეღარ ხვდები, სად გადის

გაგრძელება A9 გვერდზე

საპატრიარქო საზოგადოებრივი არხის ეთერით დებატებს ითხოვს

საპატრიარქო " საზოგადოებრივი მაუწყებლის " პირდაპირ ეთერში დებატებს ითხოვს. ბოლო პერიოდში პატრიარქის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიის გამო გუშინ პატრიარქის მდივანმა, მამა მიქაილ ბოტკოველმა საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე საპატრიარქოს განცხადება წაიკითხა. რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში ეკლესიის შეურაცხმყოფელმა კამპანიამ საზოგადოებაში მწვავე პროტესტი გამოიწვია და გამოითქვა მოსაზრებები ახლო მომავალში ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობის შესახებ, მათ შორის სამების საკათედრო ტაძართანაც. საპატრიარქოს განცხადებით, საპატრიარქოსთვის გასაგებია ხალხის რეაქცია, რომლის რელიგიური გრძნობები და ღირსებები შელახეს, მაგრამ ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, ეკლესია საზოგადოებას თავშეკავებისაკენ მოუწოდებს.

" აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის გაუგებარია " საზოგადოებრივი მაუწყებლის " მხრიდან საპატრიარქოს ინიციატივის იგნორირება პირდაპირი ეთერის გამოყოფის შესახებ, რაც ბადებს ეჭვს, რომ საქმე არ გვაქვს მხოლოდ ცალკეული პირების მიერ გაჟღერებულ ცილისწამებებთან, არამედ გარკვეული ძალების ქმედებებთან," - აღნიშნულია განცხადებაში.

სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ცნობით, საპატრიარქო გულისტკივილს გამოთქვამს, რომ უწმინდესის წინააღმდეგ კამპანია გრძელდება. საპატრიარქო აღნიშნავს, რომ მოვლენები ქვეყნისთვის ცუდი შედეგის მომტანი იქნება და არსებულ სიტუაციას სერიოზულად დაძაბავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპატრიარქო კვლავ მიმართავს " საზოგადოებრივ მაუწყებელს ", არსებული სიტუაციის გამო პირდაპირ ეთერში დებატები გაიმართოს.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო" საბჭო აცხადებს კონკურსს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე. აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, 2010 წლის 15 აპრილამდე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია ტელერადიო-მაუწყებლობის სფეროში:
- აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა თანამდებობა და კვალიფიკაციის დონე:
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება:
- აუდიტორული კომპანიის წერილი, რომ მას გათვითცნობიერებული აქვს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი.

შესასრულებელი სამუშაოს დაწყების თარიღი და პერიოდი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ სამუშაოს დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 1 დეკემბერი. გთხოვთ, სამუშაოს დაგეგმვისას გაითვალისწინოთ ეს მოთხოვნა და წინადადებები წარმოგვიდგინოთ ამ ვადების შესაბამისად.

5. წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

გთხოვთ, თქვენი წინადადებები წარმოგვიდგინოთ მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, სადაც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

თქვენი წინადადების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 20 ნოემბრამდე გამოაცხადებს გამარჯვებულ კომპანიას.

6. საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების წარმოშობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს.

საკონტაქტო პირები:

ირინე ზაქარიაშვილი - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი. ტელ: (995 32) 409-440

კახა კაპანაძე - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ტელ: (995 32) 409 410

ლევან გახელაძე
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

უსაფრთხოების კონცეფცია, აქცენტით შიდა საფრთხეებზე

თამარ ივანიძე

საყვედური ხელისუფლებას იმის გამო, რომ ომის შემდგომ უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვისთვის ვერ მოიცალა; ეჭვი იმის შესახებ, რომ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტიდან ობიექტად იქცა; პრეტენზია ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემების სიღრმისეულ ხედვაზე და გამოსავლის შესახებ ზუსტ წარმოდგენაზე - ეს აქცენტები გუშინ ქორთიართ-მარიოტში "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" მიერ შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პრეზენტაციაზე გაკეთდა. პრეზენტაციას, ცხადია, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე წარუძღვა, რომელსაც, როგორც იქვე გაირკვა, უსაფრთხოების ვექტორების მიმართ შენიშვნები პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის დროსაც ჰქონია.

ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობის ბურჯანაძისეული ხედვა, მისივე გუშინდელი გამოსვლის მიხედვით, მოკლედ შეიძლება შემდეგ პოსტულატებად ჩამოყალიბდეს:

ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში სუბიექტიდან თანდათან ხდება საერთაშორისო ურთიერთობის ობიექტი;

ქვეყანა კარგავს რეგიონში გავლენას;

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე ის ხელისუფლებაა, რომელიც საკუთარ ინტერესებს აყენებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა.

ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ და არ გააკეთა არაფერი, რათა ჩვენი მეგობრებისთვის და პარტნიორებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული გასული წლის აგვისტოში და ქვეყნის ამ მძიმე ტრაგედიიდან რა გამოსავალს ხედავს;

ომგამოვლილი ქვეყნებიდან საქართველო ერთადერთია, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ შეცვალა;

შემუშავებული კონცეფციის მიზნები კი მოკლედ ასეთია :

შევძლოთ სუვერენიტეტისა და ერთიანობის აღდგენის, განმტკიცებისა და დაცვის უზრუნველყოფა;

ქვეყანა იყოს ნამდვილად დემოკრატიულ ფასეულობებზე აგებული და დემოკრატიული რეფორმები არ იყოს მხოლოდ ფასადური;

ქვეყანა იყოს სანდო პარტნიორი და იყოს სტაბილური, რომელიც უსაფრთხოებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას;

ნინო ბურჯანაძემ ზემოთ მოკლე პოსტულატებად მოყვანილი კონცეფციის შინაარსი ასე შეაჯამა: პარტიის მიერ შემუშავებულ კონცეფციაში წარმოდგენილია როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეები და გამოწვევები, არის კონკრეტული ანალიზი, რა ვითარებაა დღეს ქვეყანაში და რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანა სწორი გზით განვითარდეს, ქვეყანამ თავისი ფუნქცია დაიბრუნოს.

მრავალგვერდიანი დოკუმენტი, რომლის ელექტრონული ვერსიაც ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ გახდება პრესისთვის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს პარტიის ხედვას უსაფრთხოების საკითხებზე და მასში განსაკუთრებული აქცენტები შიდა საფრთხეებზეა გაკეთებული.

პრეზენტაციაზე მყოფი, პარტიის დარბაზის წევრი ექსპერტების ნაწილისთვის კონცეფციაში სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა საინტერესო. მაგალითად, რამაზ საყვარელიძე "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" მიერ წარმოდგენილ უსაფრთხოების კონცეფციის მთავარ პრინციპს - შიდა საფრთხეებზე ყურადღების გამახვილებას ეთანხმება.

"ჩვეულებრივ, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ხოლმე საგარეო საფრთხეებზე, თუმცა ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია შიდა საფრთხეებზე. დამაფიქრებელი და ჩვენთვის საჭირო გაფრთხილებაა, რომ მარტო საგარეო საქმეებზე ორიენტირება, თუ შიგნით ქვეყანა არ განმტკიცდა, ალბათ სისუსტის ნიშანია," - მიაჩნია რამაზ საყვარელიძეს. თუმცა აქვე საყვარელიძე განმარტავს, რომ ეს **"კონცეფცია დეტალებში გაშლილი არ არის".**

დადებითად აფასებს ნინო ბურჯანაძის პარტიის მიერ წარმოდგენილ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ასევე " დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" დარბაზის წევრი, ექსპერტი არჩილ გეგეშიძე. მისი თქმით, კონცეფციაში აქცენტები სწორად არის გაკეთებული. **"ეს ნიშნავს, რომ ფართო საზოგადოებაში, როგორც ჩანს, არსებობს პოტენციალი, რათა მთავრობის მიღმა ამ ტიპის ამოცანები იქნეს დაძლეული,"** - აღნიშნავს ექსპერტი.

ამასთან, გეგეშიძის განცხადებით, ამ ნაბიჯით ბურჯანაძის პარტიამ სხვა პარტიებსაც მისცა მაგალითი, რომ მათაც სცადონ აღნიშნული მიმართულებით მუშაობა და ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები.

"ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს პასუხი კითხვას - ოპოზიციას ზოგადად აქვს თუ არა საკუთარი აზრი მომავალზე, თუ მხოლოდ არსებული ნეგატივის წარმოჩენაზე აგებს თავის პოზიციას. თუ სხვა ძალებიც ამ გზას მიმართავენ, ეს სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის საქმეს, რადგან იდეათა კონკურენციის დროს ყოველთვის საუკეთესო იდეა იმარჯვებს, რაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე სასიკეთოდ იმოქმედებს," - მიაჩნია ექსპერტს.

უსაფრთხოების კონცეფციაზე პოლიტიკოსების მუშაობას და მათ გააქტიურებას აუცილებლად მიიჩნევს პრეზენტაციის კიდევ ერთი სტუმარი, ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი, რომელსაც ბურჯანაძის კონცეფციის მიმართ გარკვეული შენიშვნები აქვს:

"იმისთვის, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეფექტური იყოს და მან ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა შეძლოს, პოლიტიკური სტაბილურობაა საჭირო, ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ხელისუფლება გამჭვირვალე პოლიტიკას აწარმოებს და, რა თქმა უნდა, საზოგადოების ყველა სფეროსა და წრის წარმომადგენელთა ინტერესებს გაითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ეს ბალანსი დარღვეულია და ქალბატონი ნინოს მიერ წარმოდგენილი კონცეფცია, მხოლოდ იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ შეგვიძლია დავიწყოთ დისკუსია, თუ როგორი უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია," - განუცხადა სესიაშვილმა ჟურნალისტებს.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ პარტიის დარბაზის წევრი და არაწევრი ესპერტები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

გატაცებული 16 ქართველი ტყვეობაში რჩება

ნათია მსხილაძე

საქართველოს 16 მოქალაქის ბედი, რომლებიც რუსმა მესაზღვრეებმა დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში დააკავეს, სავარაუდოდ, დღეს დილისთვის გაირკვევა. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი მათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ადანაშაულებს.

ახალგორის ოსური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ბარათაშვილის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევა მიმდინარეობს და მოკვლევის დასრულებამდე დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. **"დაკავებულებს აქვთ საკვები და ნორმალურ პირობებში იმყოფებიან. სხვა დეტალების გახმაურება პროკურატურის თანამშრომლების კომპეტენციაა, მაგრამ ვიდრე მოკვლევა არ დასრულებულა, ჯერჯერობით, დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. მოკვლევის შედეგები და გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, დღეს დილისთვის გახდება ცნობილი,"** - განაცხადა ახალგორის ოსური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულთა შორის არასრულწლოვანიც იყო, თუმცა ალექსანდრე ბარათაშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ყველა დაკავებული სრულწლოვანია და ისინი ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ შოთა უტიაშვილის განცხადებით, დაკავებული ქართველების საქმის ახალი დეტალები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. **"მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი ახალგორის განყოფილებაში ჰყავთ. მათი დაკავების ადგილზე ევროკავშირის დამკვირვებლებიც მივიყვანეთ. მათ დააფიქსირეს, რომ 16 ადამიანი რუსმა მესაზღვრეებმა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დააკავეს. რუსები დუშეთის რაიონში იყვნენ გადმოსულები, ხოლო საქართველოს მოქალაქეებს ადმინისტრაციული საზღვარიც კი არ გადაუკვეთავთ,"** - აღნიშნა შოთა უტიაშვილმა.

რაც შეეხება სეპარატისტული ხელისუფლების პოზიციას, ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. კომიტეტის მტკიცებით, რუსი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ ქართველებზე არანაირი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა არ ხორციელდება. **"მიმდინარეობს მათი დაკითხვა. არკვევენ, თუ რა გარემოებაში მოხვდნენ დაკავებულები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. დგინდება სხვა დეტალებიც. დაკავებულები ლენინგორის პროკურატურის განყოფილებაში ჰყავთ. მათ ნორმალურად ეპყრობიან და მათზე არანაირი ზეწოლა არ ხორციელდება,"** - განმარტეს კომიტეტში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია კი შეშფოთებულია რუსი მესაზღვრეების მიერ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად საქართველოს 16 მოქალაქის დაკავების გამო.

სადამკვირვებლო მისიის განცხადებით, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი "შესაფერისი ფორუმია ამ საკითხზე მსჯელობისთვის".

"გრემისხევის 16 მკვიდრის დაპატიმრება სერიოზულ გავლენას ახდენს ამ სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეს ინციდენტი ასახავს უფრო ფართო პრობლემას, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდინარე საქმიანობებს ეხება და რომელიც ზამთრის სეზონის მოახლოებასთან ერთად, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გართულდება," - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თვალსაზრისი

ორი ავადმყოფობა

გია ნოდია

ტელეკომპანია "კავკასიის" სიუჟეტმა ვიდეორგოლის შესახებ, რომელიც თეა თუთბერიძემ - "თავისუფლების ინსტიტუტის" აქტივისტმა, ფეისბუკის საკუთარ გვერდზე დადო, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია პოლიტიკურად მოწყენილ ქართულ საზოგადოებაში. ამ ვნებათაღელვის საგანი გარეგნულად რელიგიურია: პატრიარქს შურაცხყოფა მიაყენეს, მორწმუნე საზოგადოება მის დასაცავად აღდგა. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული პლასტია პრობლემისა - თუმცა არა უგულვებელსაყოფი. პირადად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სკანდალმა კიდევ ერთხელ და ძალიან მკაფიოდ გამოამჟღავნა ორი საკმაოდ მძიმე ავადმყოფობა, რომელიც ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს შეყრია. ერთია საჯაროს და პირადის ვერგარჩევა, მეორე - პრაქტიკულად ყველა მოვლენის პოლიტიკური შეთქმულების ტერმინებში განხილვა.

სიტყვის თავისუფლება და რელიგიური გრძნობები

გარეგნულად საქმე ეხება კონფლიქტს, რომელიც გარდაუვალია თანამედროვე ლიბერალური საზოგადოებისთვის. მისი ერთ-ერთი პრინციპი - თუ გნებავთ, მისი ერთ-ერთი სიწმინდე - სიტყვის თავისუფლებაა. ადამიანს უფლება აქვს, შეუზღუდავად გამოთქვას თავისი აზრი, საკუთარი შეფასება მისცეს ნებისმიერ მოვლენას. თუ რატომ მიეცა ამ უფლებას ასეთი დიდი მნიშვნელობა, ამაზე დიდხანს შეიძლება მსჯელობა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. საკმარისია ვთქვათ, რომ საზოგადოება ვერ იქნება თანამედროვე, თუ გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად არ აღიარა.

ამ უფლების შეზღუდვაც ხდება, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც ნათქვამი სიტყვა უშუალო და თვალსაჩინო საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანების უსაფრთხოებას. ამის მაგალითია ძალადობისკენ მოწოდება - განსაკუთრებით სიტუაციაში, როდესაც მოწოდებას დიდი შანსი აქვს, რეალური ძალადობის აქტებს შეუწყოს ხელი. ამ შემთხვევებშიც დასაბუთების ტვირთი ცალსახად იმაზეა, ვინც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ამართლებს, მან ნამდვილად სერიოზული არგუმენტები უნდა მოიყვანოს. მაგრამ თუ არგუმენტები სარწმუნოა, ლიბერალური საზოგადოებაც, როგორც წესი, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზეც მიდის.

უფრო რთულია ვითარება, როცა ნათქვამი სიტყვა ადამიანებს თითქოს არაფერს უშავებს, მაგრამ ლახავს ისეთ ღირებულებებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ფუძემდებლურად მიიჩნევს. ამის ერთი მაგალითია პორნოგრაფია - მაგრამ ამ თემას ახლა არ ვეხებით. მეორე ასეთი სფეროა რელიგია. ასეთი ღირებულებების ხელყოფა ბუნებრივად იწვევს უაღრესად მწავე ემოციურ რეაქციას, რომელსაც ანგარიში რომ არ გაუწიოს, ყველაზე ლიბერალურ საზოგადოებასაც არ შეუძლია.

ამგვარი კოლიზიის მაგალითად ხშირად ახსენდებათ დანიურ გაზეთში დაბეჭდილი კარიკატურები, რომლებიც წინასწარმეტყველ მოჰამედს დასცინოდა და მსოფლიოს მუსლიმანთა აღშფოთება გამოიწვია. ამ ფაქტს დასავლეთშიც მოჰყვა დისკუსიები - ბევრი აკრიტიკებდა გაზეთს იმისთვის, რომ მუსლიმანთა გრძნობების მიმართ მგრძნობიარობა არ გამოიჩინა. სხვების პოზიცია შეიძლება მარტივად ასე შევაჯამოთ: თუ მათი სიწმინდე მოჰამედია, ჩვენი სიწმინდე სიტყვის თავისუფლებაა, რატომ უნდა დავუთმოთ? ვაღიარებ, რომ ჩემთვის ეს უკანასკნელი პოზიცია უფრო ახლობელია: ლიბერალურ საზოგადოებას უნდა ეყოს ვაჟკაცობა, საკუთარი ღირებულებები დაიცვას.

რაც იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა გრძნობების შეურაცხყოფა მოსაწონი საქციელია. ლიბერალური საზოგადოება არსებითად ვერ შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ შეიძლება გარკვეული ზომები მიიღოს საზოგადოების დიდი ნაწილის დასაცავად, რომელსაც გარკვეული გზავნილები შეურაცხყოფს. მაგალითად, ჩვეულებრივი სატელევიზიო არხები თავს იკავებენ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (უმრავლესობის თუ უმცირესობისთვის) მიუღებელი გზავნილების გადაცემისგან.

პათოლოგია პირველი: საჯაროს და კერძოს განურჩევლობა

ეს ყველაფერი ზოგადად. მაგრამ ეს მსჯელობა ნაკლებად ეხება სკანდალს "თეა თუთბერიძე პატრიარქის წინააღმდეგ". ზემოთ აღწერილი კოლიზიები ეხება საზოგადოების ან მისი ნაწილისთვის შეურაცხმყოფელი გზავნილების საჯარო გავრცელებას. თეა თუთბერიძეს, რამდენადაც ვიცი, საჯაროდ არაფერი უთქვამს ისეთი, რაც შეიძლება პატრიარქის შეურაცხყოფად ჩაითვალოს. მან ინტერნეტში, სოციალური ქსელის - "ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დადო ვიდეო, რომელიც ნამდვილად იყო შეურაცხმყოფელი პარტიარქისთვის და - ესეც შეიძლება დავამატოთ - მაინცდამაინც მაღალი გემოვნების ნიმუშს არ წარმოადგენდა. მაგრამ გადამწყვეტი აქ ის არის, რომ "ფეისბუკის" გვერდი პირადი (კერძო, პრივატული) სფეროა და არა საჯარო.

გაზეთის ყველა მკითხველი შეიძლება არ იყოს ინტერნეტული სოციალური ქსელების მომხმარებელი, ამიტომ ავხსნი. ზოგადად ინტერნეტი ღია, საჯარო სივრცეა, მაგრამ მისი ცალკეული კომპონენტები (ვებ-გვერდები) შეიძლება საჯაროც იყოს და დახურულიც. "ფეისბუკი" (ბევრი მკითხველისთვის შეიძლება უფრო ნაცნობი იყოს მისი რუსული იმიტაცია - "ოდნოკლასნიკი.რუ") არის სოციალური ქსელი, ანუ ის აგებულია როგორც მეგობართა ერთობლიობის ვირტუალური ვარიანტი: ამ ქსელით ურთიერთობ მხოლოდ იმათთან, ვისაც შენ თვითონ აღიარებ "მეგობრად". კერძოდ, თეა თუთბერიძის გვერდზე შესვლა შეუძლია "ფეისბუკის" მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც თავად თეა თუთბერიძემ ჩაიწერა მეგობრების სიაში. ამის რეალური ანალოგი ის იქნებოდა, თეა თუთბერიძეს საკუთარ სახლში რომ მოეწვია რამდენიმე ათეული ადამიანი და მერე იქ პატრიარქზე უხამსი ანეკდოტი მოეყოლა. შეიძლება ესეც არ მოეწონოს კაცს, მაგრამ ადამიანი თავის სახლში რას იტყვის, ვისი რა საქმეა?

შეიძლება შემომედავონ, რომ ფეისბუკური "ფრენდობა" (მეგობრობა) დიდად განსხვავდება ჩვეულებრივ ცხოვრებაში ("ლაივში") ურთიერთობისგან. პირადად მე ფეისბუკში რვაასზე მეტი მეგობარი მყავს და მათ უმრავლესობას სინამდვილეში არც ვიცნობ. მაგრამ საქმის არსს ეს არ ცვლის: თითოეულ ჩემს ფეისბუკ-მეგობარზე მე თანხმობა მაქვს მიცემული, ამიტომ რა ხდება ჩემს იქაურ სამეგობროში, ჩემი პირადი საქმეა. საზოგადოებაში მოტრიალე კაციც ხშირად აღმოჩნდება სუფრაზე იმ ადამიანის გვერდით, რომელსაც კარგად ვერ იხსენებს, სადღაც შეხვედრია თუ არა. ეს არ ცვლის იმ არსებით ვითარებას, რომ სუფრაზე ნათქვამი ანეკდოტიც და ფეისბუკზე დადებული პოსტიც ადამიანის კერძო ცხოვრების ნაწილია. თეა თუთბერიძის შეხედულებებს ან მათი გამოხატვის მანერას შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო - ამ სტატიაში შეგნებულად არ განვიხილავ ამ საკითხს. მაგრამ ადამიანთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ბრალდება, დანიურ გაზეთში გამოქვეყნებულ კარიკატურებთან შედარება, უბრალოდ, უმეცრების გამოხატულებაა.

უმეცრების გავრცელებაში პირველი ბრალდებულები ამ შემთხვევაში ტელეკომპანია "კავკასია" და მისი ჟურნალისტი ნანა ლეჟავა არიან. ბევრი ადამიანი შეიძლება ბოლომდე ვერ ერკვეოდეს იმაში, თუ რა განსხვავებაა ინტერნეტის საჯარო და კერძო ნაწილებს შორის, მაგრამ ტელეკომპანია და მისი ჟურნალისტი მოვალენი არიან, ეს კარგად ესმოდეთ. მათთვის ამის ცოდნა ანბანია. "კავკასიაში" გასულმა სიუჟეტმა შეგნებულად და თანმიმდევრულად გაასაღა კერძო წრეში ნათქვამი საჯარო განცხადებად.

პათოლzოგია მეორე: შეთქმულების თეორიები

სკანდალის ამგორებლებს ამ ნიუანსებზე გაეცინებათ, რადგან საკითხი მათთვის ცალსახად პოლიტიკურია. მისი ამგორებლებისთვის თეა თუთბერიძე არ არის კერძო პირი - ის თავისუფლების ინსტიტუტის წევრია, ეს ინსტიტუტი კი, მათი აზრით, იგივე ხელისუფლებაა. მეორე მხრივ, ჟურნალისტ ნანა ლეჟავას ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის აქტივისტად, ანუ ოპოზიციის ინტერესების დამცველადაც ვიცნობთ: პატრიარქიც მისთვის საინტერესოა, როგორც პოლიტიკური ფიგურა: მას პრეზიდენტზე მეტი რეიტინგი აქვს და ხანდახან ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო განცხადებებს აკეთებს.

მსჯელობა მარტივია: პოსტი თეა თუთბერიძის ინტერნეტ-გვერდზე არ შეიძლება იყოს მოქალაქე თუთბერიძის ინდივიდუალური გადაწყვეტილების შედეგი (ამას ვინ ჭამს?). ეს შეთქმულების ნაწილია, რომელსაც სათავეში, ცხადია, ვანო მერაბიშვილი ეყოლება (აბა სხვა ვინ?). ნაციონალებს უნდათ, პატრიარქს "რეიტინგი დაუგდონ", მაგრამ რაკი ამას ღიად ვერ აკეთებენ, პარტიული დავალება მისცეს თეა თუთბერიძეს, რათა მან ანტიეკლესიური კამპანია გააჩაღოს ინტერნეტ-სივრცეში. მაგრამ, ეროვნულ-მართლმადიდებლურმა ძალებმა დროულად გამოააშკარავეს ეს მზაკვრული ჩანაფიქრი.

საიდან, რის საფუძველზე ვიცით ასეთი შეთქმულების შესახებ? კარგი რა, ეს ხომ ცხადია! ხომ ვიცით, რომ ეს ხელისუფლება და მისი იდეოლოგიური პირველწყარო - თავისუფლების ინსტიტუტი - უღმერთო და ანტიქართული ძალები არიან? მეტი საბუთი რად გინდათ?

აქ, სულ მცირე, ორი პრობლემაა. ერთი ის არის, რომ ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება პრინციპულად ვერ არჩევს ორი ტიპის პერსონაჟს: (1) ხელისუფლების წარმომადგენელს და (2) ხელისუფლების მხარდამჭერ კერძო ინდივიდს (მათ შორის ისეთს, ვისაც ხელისუფლებაში მეგობრები ჰყავს). ვისაც არ ესმის განსხვავება, ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელში იგულისხმება ადამიანი, რომლისთვისაც არსებული ხელისუფლება უფრო მისაღებია, ვიდრე არსებული ოპოზიცია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ან ყველაფერი მოსწონს ხელისუფლების, ან, მით უმეტეს, მისი კარნახით მოქმედებს.

თეა თუთბერიძეს პირადად ვიცნობ და შემიძლია ვთქვა (ვვარაუდობ, რომ ამ საიდუმლოს გასხნას ის არ გააპროტესტებს), რომ ის აკმაყოფილებს ხელისუფლების მხარდამჭერის ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებას და მეტიც, მეგობრებიც ჰყავს ხელისუფლებაში. ამავე დროს ისიც შემიძლია ვთქვა, რომ რიგ საკითხებში ის ხელისუფლების მწვავე კრიტიკოსია და კონკრეტულ საკითხებზე უპირისპირდება კიდეც მას (ამას დავადასტურებ აგრეთვე როგორც ამ ხელისუფლების ყოფილი მინისტრი). დაარწმუნებს თუ არა ეს ინფორმაცია შეთქმულების თეორიის მომხრეს? რა თქმა უნდა, არა. ვისაც სჯერა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერს ან თითქმის ყველაფერს ვანო მერაბიშვილი აკონტროლებს, ამ რწმენით დარჩება. მაგრამ პრობლემაც - და პათოლოგიაც - ისაა, რომ ამ რწმენის მატარებლებს არ სჯერათ, რომ ადამიანმა (თუნდაც ისეთმა, ვისაც ხელისუფლებაში მეგობრები ჰყავს) შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტოს და საკუთარ ვებ-გვერდზე რაღაც დადოს იმიტომ, რომ იმ წუთში ასე მოეპრიანა, და არა იმიტომ, რომ ვანო მერაბიშვილმა დაავალა.

პატრიარქი და პოლიტიკა

და კიდევ ერთი საკითხი - შეიძლება თუ არა საერთოდ პატრიარქის კრიტიკა? პოლიტიკოსების მხრიდან ამ საკითხის დაყენებაც კი ტაბუირებულია, ხოლო იმ საკითხებს, რასაც პოლიტიკოსები არ აყენებენ, საზოგადოება, სამწუხაროდ, ნაკლებად განიხილავს. "კრიტიკაში" მე არ ვგულისხმობ იმ ტიპის ვიდეო-რგოლებს, რამაც სკანდალი გამოიწვია - ეს, როგორც უკვე ვთქვი, მოქალაქე თუთბერიძის და მისი ინტერნეტ-მეგობრების კერძო საქმეა. მაგრამ ამ სულელური სკანდალის ერთ-ერთი სათავეც ის არის, რომ ამ კითხვაზე სერიოზული მსჯელობა საჯაროდ არ მომხდარა.

ფაქტია, რომ ბოლო თვეებში პატრიარქი ილია მეორე, ან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპარტიარქო, სულ უფრო ხშირად აკეთებს პოლიტიკურად მგრძნობიარე განცხადებებს, ანუ ის სულ უფრო ხდება პოლიტიკური მოთამაშე. ზოგ მკაცრ სეკულარისტს ეს აშფოთებს, რადგან ეკლესია, მათი აზრით, სრულად გამიჯნული უნდა იყოს პოლიტიკისგან. მე ამას უფრო მშვიდად ვუყურებ: პატრიარქს ვერავინ წაართმევს ნებისმიერ საკითხზე საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, და რელიგიური ლიდერები არა მხოლოდ შუა საუკუნეებში იყვნენ პოლიტიკურად აქტიურნი. მხოლოდ პატრიარქის და სხვა რელიგიური მოღვაწეების გადასაწყვეტია, რამდენად დაიკავებენ ისინი დისტანციას პოლიტიკური პრობლემებისგან.

მაგრამ მათაც და საზოგადოებამაც უნდა იცოდნენ, რომ მეტ პოლიტიკურ აქტივობას თავისი ფასი აქვს. განსაზღვრების თანახმად, პოლიტიკური განცხადებები გაყოფილ საზოგადოებაში ყველას არ მოეწონება. 26 მაისს პატრიარქის მიერ გაკეთებული განცხადება მეტად მტკივნეული აღმოჩნდა ოპოზიციისთვის, ზოგი სხვა მისი გამოსვლა არასასიამოვნო იყო ხელისუფლებისთვის. ორივე მხარე თავს იკავებს პატრიარქის საჯარო კრიტიკისგან, რადგან ეს მათთვის მომგებიანი არ არის. მაგრამ წარმოუდგენელია, ადამიანებს (სულ ერთია, პოლიტიკოსები არიან ისინი თუ პოლიტიკურად დამუხტული რიგითი მოქალაქეები) ნეგატიური რეაქცია არ ჰქონდეთ პატრიარქის იმ სიტყვებზე, რაც, მათი აზრით, მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს. პატრიარქის საჯარო კრიტიკაზე დღეს არსებული ფაქტობრივი ტაბუ თანდათან შესუსტდება და მოიშლება. ეს შეიძლება მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, მაგრამ საქმე აქეთკენ მიდის.

კონტროლის პალატა ახალ საბიუჯეტო კოდექსზე ექსპერტების დასკვნებს ითხოვს

კონტროლის პალატა ახალ საბიუჯეტო კოდექსზე ექსპერტების დასკვნებს ითხოვს. როგორც კონტროლის პალატის რეკომენდაციებშია ნათქვამი, საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად შევიდა, აერთიანებს და სისტემატიზაციას უკეთებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მოწყობის განმსაზღვრელ და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს.

იმავდროულად, ახალი პროექტი მთელ რიგ ახალ მარეგულირებელ ნორმებს ითვალისწინებს, რომლებიც აქამდე მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო სისრულით არ იყო ასახული.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის " ცნობით, კონტროლის პალატაში მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროექტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საგადასახდო კოდექსს და ამიტომ პარლამენტმა ის ნაჩქარევად არ უნდა მიიღოს.

ზურაბ ნოღაიდელმა რადიო "ეხო მოსკვის" ინტერვიუ მისცა

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი დღეს მოსკოვში აფხაზური და ოსური სათვისტომოების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს. ამის შესახებ ნოღაიდელმა რადიო "ეხო მოსკვი"-სთან ინტერვიუში განაცხადა.

აღნიშნული ინტერვიუს ფრაგმენტების ქართულ ვერსიას მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" პრესსამსახური ავრცელებს.

"ეხო მოსკვის" წამყვან სერგეი ბუნტმანს ნოღაიდელმა განუცხადა, რომ იგი მოსკოვში საქართველოს ხალხთა ასოციაციაიამ მიიწვია, რომელშიც საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი შედის, მათ შორის, აფხაზები და ოსები.

ნოღაიდელის თქმით, მისთვის ადრეც ნათელი იყო, რომ უნდა გამოირიცხოს კონფლიქტის მოგვარება სამხედრო გზით, ამიტომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს.

"ვხედავთ, რომ კედელი, ერთი მხრივ, ქართველებსა და, მეორე მხრივ, აფხაზებსა და ოსებს შორის სულ უფრო მაღალი და განიერი ხდება. გარკვეულ მომენტში, მისი გადალახვა უკვე შეუძლებელი გახდება. ამიტომ, ყველა ექსპერტი გვირჩევს, რომ მოლაპარაკება დღესვე უნდა დაიწყოს. ეს იქნება ასეთი მოლაპარაკებების პირველი მცდელობა," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მისი თქმით, ჟენევის ფორმატში გარკვეული მოლაპარაკებები იმართება, მაგრამ ისინი მდორედ მიმდინარეობს. პარტიის ლიდერს მიაჩნია, რომ ამ საკითხზე მუშაობა კონკრეტული თემების განხილვით საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს. პირველი საკითხი ომის თავიდან აცილება და კონფლიქტის ძალოვან გადაწყვეტაზე უარის თქმა უნდა იყოს.

"ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში ნოღაიდელი განმარტავს, რომ ლტოლვილების დაბრუნების საკითხი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა განიხილონ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენის გზით უნდა მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იზოლაციიდან გამოყვანა.

"მართალია, დღეს ისინი სრულ იზოლაციაში არ იმყოფებიან და რუსეთთან ვაჭრობენ, მაგრამ უნდა აღდგეს მათი კავშირები დანარჩენ საქართველოსთან, დანარჩენ სამყაროსთან. მაგალითად, უნდა აღდგეს სატრანსპორტო მიმოსვლა ცხინვალსა და თბილისს შორის, სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ეს 20 წლის წინათ იყო. ასევე უნდა განახლდეს სხვა სახის სატრანსპორტო კავშირები," - განაცხადა ნოღაიდელმა.

ზურაბ ნოღაიდელის პასუხად განცხადება გააკეთა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩმა დიმიტრი მედოევმა. მისი თქმით, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები მოსკოვში ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრას არ აპირებენ. "ბატონ ნოღაიდელთან არანაირ შეხვედრას არ ვგეგმავთ. მოსკოვში მისი ვიზიტის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან შევიტყვეთ. არც საელჩოს და არც სამხრეთ ოსეთის რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებას ნოღაიდელთან შეხვედრის შესახებ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია," - განაცხადა მედოევმა.

გარესაბირჟო ფიქსინგით, გასული კვირის განმავლობაში, გარიგება 7 სახეობის აქციაზე დაიდო

გარესაბირჟო ფიქსინგით გასული კვირის განმავლობაში გარიგება 7 სახეობის აქციაზე დაიდო.

ბირჟის გარეთ ვაჭრობაზე დაფიქსირდა 10 ოპერაცია, გადაცემებმა მოიცვა 43 029 აქცია, ხოლო თანხობრივმა მაჩვენებელმა 27 233 ლარი შეადგინა.

გასულ კვირას საბირჟო მოცულობა აღემატებოდა გარესაბირჟო ფიქსინგს. ბირჟის გარეთ ვაჭრობაზე აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ორ შედარებით მსხვილი გასხვისება. გასულ კვირაში გასხვისდა "თბილლითონნაწარმის" 8,688 პროცენტიანი წილი, ჯამური ღირებულებით 12 294 ლარი და "აქატ"-ის 3,35 პროცენტიანი წილი, ჯამურის ღირებულებით - 9,874 ლარი.

ნავთობის ფასი შემცირდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად შემცირდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ნიუიორკის ბირჟაზე Lიგჰტ შწეეტ ჩრუდე მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.82 აშშ დოლარით დაეცა და 78.68 აშშ დოლარზე დაფიქსირდა.

ლონდონის ბირჟაზე კი, Bრენტ ჩრუდე მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.66 აშშ დოლარით, 77.26 აშშ დოლარამდე შემცირდა.

კონტროლის პალატა ახალ საბიუჯეტო კოდექსზე ექსპერტების დასკვნებს ითხოვს

კონტროლის პალატა ახალ საბიუჯეტო კოდექსზე ექსპერტების დასკვნებს ითხოვს.

როგორც კონტროლის პალატის რეკომენდაციებშია ნათქვამი, საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად შევიდა, აერთიანებს და სისტემატიზაციას უკეთებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მოწყობის განმსაზღვრელ და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს.

იმავდროულად, ახალი პროექტი, ითვალისწინებს მთელ რიგ ახალ მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც აქამდე სათანადო სისრულით არ იყო ასახული მოქმედ კანონმდებლობაში.

კონტროლის პალატაში მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროექტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც - საგადასახდო კოდექსს და ამიტომ პარლამენტმა ის ნაჩქარევად არ უნდა მიიღოს.

"ჩვენი აზრით, საბიუჯეტო კოდექსის წარმოდგენილი პროექტი, თანმდევ კანონპროექტებთან ერთად, მოითხოვს დეტალურ განხილვას შესაბამის საექსპერტო დასკვნებთან ერთად, რომელიც, როგორც ამავე პროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, საერთოდ არ არსებობს", - ნათქვამია კონტორლის პალატის შენიშვნებში და ხაზგასმულია, რომ პირველ რიგში ასეთი საექსპერტო დასკვნები სასურველია თუ მიღებული იქნება ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, როგორიც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკია.

იმპორტირებულ თამბაქოზე გადასახადის შემცირების შესახებ კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ არ არსებობს

ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული თამბაქოს გადასახადის გათანაბრებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობას რაიმე კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივა შემუშავებული არა აქვს. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ზაზა ჭელიძემ განუცხადა.

არსებული ინფორმაციით, ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორებისთვის საგადასახადო რეჟიმის ერთ სივრცეში მოქცევის რეკომენდაციას საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ევროკავშირი აძლევენ.

მოცემულ შემთხვევაში, საუბარია ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებულ თამბაქოზე, რომელთა სააქციზო გადასახადი განსხვავებულია. ადგილობრივი წარმოების ფილტრიან სიგარეტზე სააქციზო გადასახადი 40 თეთრს შეადგენს, ხოლო იმპორტულზე - 60 თეთრს. უფილტრო სიგარეტის შემთხევაში კი, განსხვავება უფრო დაბალია.

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისში

ნათია ყიფიანი

თბილისში ბაქსვუდის საერთაშორისო ქსელის სკოლა გაიხსნა. ბრიტანული საგანმანათლებლო დაწესებულება გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე გაიხსნა, რომელიც 2000 წლიდან წარმატებულად ფუნქციონირებს საქართველოში.

"იდეა იმის თაობაზე, რომ ბაქსვუდის სკოლა თბილისში გაგვეხსნა, მიმდინარე წლის ზაფხულში გაჩნდა. საქართველოს განათლების სამინისტროს ინგლისურენოვანი სკოლის პროექტის ერთობლივი ძალით წარმატებულად განხორციელების შემდეგ, ასეთ მოკლე დროში ჩვენ უკვე საერთო სკოლა გვაქვს ჩვენს ქართველ პარტნიორებთან ერთად. ვფიქრობ, რომ ბრიტანული და ქართული განათლების ტრადიციების თანხვედრა ბაქსვუდის სკოლას თბილისში თანამედროვე სწავლების მნიშვნელოვან კერად აქცევს," - განაცხადა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ხელმძღვანელმა გაილს სატონმა.

ბაქსვუდის თბილისის სკოლაში იგეგმება შემდეგი სიახლეები: ორენოვანი სწავლების სისტემის დანერგვა, რომლის დროსაც გარკვეულ საგნებს ბავშვები ინგლისურ ენაზე ისწავლიან. დაწყებითი კლასებიდან მოსწავლეები ისწავლიან ახალ საგანს - "საერთაშორისო სწავლებას" (International Studies), რომლის დახმარებითაც ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას გაეცნობიან. მაღალ კლასებში მოხდება "მსოფლიოს უახლესი ისტორიის" სწავლება ინგლისურ ენაზე. 17 წლის მოზარდებისთვის გაკეთდება საუნივერსიტეტო კურსი ბიზნესში, რომლის კურსდამთავრებულებსაც საშუალება ექნებათ, სწავლა ბრიტანეთის ბიზნესსკოლებში გააგრძელონ. გაიმართება გაცვლითი საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები ბაქსვუდის ქსელის სხვა ქვეყნის სკოლებთან. ჩამოყალიბდება საფეხბურთო აკადემია, რომელიც დაკავშირებული იქნება წამყვანი ბრიტანული კლუბების (ჩელსი, არსენალი და ა.შ.) საფეხბურთო აკადემიების ქსელთან. ყოველ წელიწადს მინიმუმ 3 წარჩინებული მოსწავლე უფასოდ გაემგზავრება 2-კვირიან საზაფხულო კურსებზე ბაქსვუდის ბრიტანულ სკოლაში. წარმატებული მოსწავლეებისთვის სწავლის საფასურის მთლიანად და ნაწილობრივ დაფინანსება მოხდება.

ბაქსვუდის თბილისის სკოლის დირექტორი ლევან ხარატიშვილი: "ბრიტანულ მხარესთან ინტენსიური თანამშრომლობით, ბევრ სიახლეს შევთავაზებთ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რაც თვისობრივად განავითარებს და გააუმჯობესებს განათლების ხარისხს ჩვენს სკოლაში."

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტი, კომპოზიცია, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა, ფარდაგი და უამრავი ხელით ნაქარგი სუვენირი

თქვენ ხდებით ქართული ხალხური ჯულცურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. № 6. ტელ.: (995 32) 66 21 02, 855 25 52 71

ბურჯანაძის აგარაკი აუქციონზე აღარ გაიყიდება

მანანა ვარდიაშვილი

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის კუთვნილი, წყნეთის აგარაკის გასაყიდად მესამე აუქციონი აღარ გაიმართება - ფინანსთა სამინისტრომ აგარაკი ეკონომიკის სამინისტროს გადასცა. შესაბამისად, ყოფილი ექს-სპიკერის კუთვნილი უძრავი ქონების მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს. საბოლოოდ, აგარაკი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავა და მფლობელობაში ისევ სახელმწიფოს დაუბრუნდება. წყნეთის აგარაკის შემდგომი ბედი ამ ეტაპზე გაურკვეველია. გამორიცხული არ არის, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ყოფილი აგარაკი საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში მოხვდეს.

ნინო ბურჯანაძის კუთვნილი, წყნეთის აგარაკი აქამდე აუქციონზე ორჯერ იყო გატანილი. პირველად მისი საწყისი ღირებულება 11 494 249 ლარი იყო. მეორე აუქციონზე კი აგარაკის ფასი განახევრდა და 5 მლნ. 700 ათასი ლარით განისაზღვრა. მყიდველის არარსებობის გამო ორივე აუქციონი ჩაიშალა.

აგარაკის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ საგადასახადო სამსახურის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვის შემდეგ გადაწყვიტა. მანამდე სახელმწიფოს მიერ 12 109 997 ლარად შეფასებულ წყნეთის აგარაკზე ბურჯანაძეს გადასახადის და საურავის სახით 1,250 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა დავალიანების მოხსნის სარჩელით სასამართლოს მიმართა. სასამართლომ ბურჯანაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი აცხადებს, რომ თავდაპირველად აგარაკი 2,8 მლნ. ლარად იყო შეფასებული და უძრავი ქონების ფასი მეტი გადასახადების ამოღების მიზნით ბურჯანაძის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ხელოვნურად გაზარდეს.

წყნეთის აგარაკი 2008 წლის მაისში პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს "პარლამენტარიზმის და დემოკრატიის განვითარებაში" შეტანილი წვლილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით კერძო საკუთრებაში სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადასცა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის კიდევ ერთი ინვესტიცია

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ხელისუფლებასთან ერთად, წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში განხორციელებული პროექტების პრეზენტაციას მართავს.

2009 წლის მარტში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა გრანტების საკონკურსო პროგრამის მეექვსე რაუნდი გამოაცხადა. მისი მიზანი გახლდათ როგორც ძირითადი ინფრასტრუქტურის და სამუშაო ადგილების შექმნა, ასევე მომსახურების გაწევა წეროვანის დასახლებაში განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირების საჭიროებისათვის. წარმოდგენილი ცამეტი პროექტიდან ოთხმა შეფასების კომიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმები დააკმაყოფილა და დაფინანსება მიიღო.

დღეისათვის წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში სრულიად ახალი, პურის საცხობი "წეროვანი პური" ფუნქციონირებს, სადაც დღეში 15 ათასი პურის გამოცხობაა შესაძლებელი. ასევე მუშაობს მეფრინველეობის ფერმა "ხეობის ქათამი", სადაც ორმოცდღიანი ციკლის განმავლობაში შესაძლებელია 3 ათასი წიწილის გამოზრდა. აგრეთვე ფუნქციონირებს წეროვანის მომსახურების ცენტრი, რომელიც დასახლების მოსახლეობას სხვადასხვა სახის მომსახურებას გაუწევს, და მოსაპირკეთებელი ფილების მიკროსაწარმო, სადაც დღეში 100 კვ.მ. ფილების დამზადებაა შესაძლებელი. ყველა ეს პროექტი აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის დახმარებითა და დაფინანსებით განხორციელდა. ახლადგახსნილ საწარმოებში 56 იძულებით გადაადგილებული პირი დასაქმდა, ხოლო მშენებლობის პროცესში კი - 41. განხორციელებული პროექტების შედეგად წეროვანის დასახლებაში მცხოვრებ 10 ათას და მიმდებარე ტერიტორიაზე განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალება აქვთ, ძირითადი საკვები პროდუქტები იქვე იყიდონ.

რაც შეეხება თვითონ პროექტს, (USAID) მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი, რომელსაც საქართველოში საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი ახორციელებს, მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას, განვითარებას და საქართველოს მოსახლეობისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ კერძო სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა სხვადასხვა სახის ინტერვენციების შედეგად, როგორებიცაა ექსპორტის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და კვალიფიციური ბიზნესკონსულტაციების გაწევა. უკანასკნელ პერიოდში კი პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტი იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება გახდა.

უძრავი ქონების ბაზარზე გაუმჯობესება შენიშნება

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე გაუმჯობესების ნიშნები კვლავ ფიქსირდება.

როგორც მთავრობის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია აღნიშნული, მიმდინარე წლის სექტემბერში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა (14 014) წინა თვესთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა. წლის დასაწყისიდან კი, 21 პროცენტით შემცირდა.

მეორადი ავტოსატრანსპორო საშუალებების გაყიდვები კი სექტემბერში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5 პროცენტით გაიზარდა.

2009 წლის დასაწყისიდან დღემდე უძრავი ქონებასთან დაკავშირებით ტრანზაქციები 2.1 პროცენტით გაიზარდა. თბილისის მერიის მიერ ახალ მშენებლობებზე ნებართვის გაცემა კი, წლის დასაწყისიდან დღემდე 1,6 პროცენტით შემცირდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით 58 პროცენტით გაიზარდა.

საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ გასული კვირის განმავლობაში 113 238 ლარი შეადგინა

საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ გასული კვირის განმავლობაში 113 238 ლარი შეადგინა.

ბირჟაზე გასული კვირის განმავლობაში გასხვისდა 219 013 ფასიანი ქაღალდი და დაიდო 46 გარიგება. ბირჟაზე ძირითადი ბრუნვა "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციაზე დაფიქსირდა, ხოლო ფულადი ბრუნვის მეტი წილი "საქართველოს ბანკზე" მოდიოდა. აღნიშნულ პერიოდში იმატა სს "საქართველოს ბანკი"-ს აქციის ფასმა და ბრუნვამ. სხვა აქციებიდან მოთხოვნა ან მიწოდება დაფიქსირდა "თელასის", "გაერთაინებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის", "საქწყალპროექტის", "ყაზბეგის" აქციებზე, თუმცა გარიგება არ განხორციელებულა.

საქართველოში გაერო-ს სახლის ეზოში ხვალ კაჭრეთში წარმოებული ნატურალური პროდუქციის გამოფენა გაიმართება

საქართველოში გაერო-ს სახლის ეზოში, რომელიც თბილისში ერისთავის ქუჩაზე მდებარობს, ხვალ კაჭრეთში წარმოებული ნატურალური პროდუქციის გამოფენა გაიმართება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამიდან (UNDP) აცნობეს, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება კაჭრეთის ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელ საწარმოში დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხილფაფები, მურაბები, მარინადები და სასაუზმე კონსერვები; ასევე კაჭრეთის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ფერმერების მიერ მოყვანილი ხილი და ბოსტნეული.

გამოფენის დამთვალიერებლებს ადგილზე ჩურჩხელების ამოვლების საშუალებაც ექნებათ.

კაჭრეთის ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო გაერო-ს განვითარების პროგრამის და რუმინეთის მთავრობის ხელშეწყობით 2009 წლის ივლისში გაიხსნა. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით, რაც პროდუქციის სურსათის უვნებლობის ყველა წესის დაცვით დამზადების საშუალებას იძლევა. ამ ეტაპზე საწარმო 50-მდე მცირე ფერმერს ემსახურება. საწარმოში დამზადებული პროდუქცია კი ერთი სახელწოდებით იყიდება - "კაჭრეთის ბაღებიდან".

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრი საკონსულტაციო მომსახურებას კახეთის ფერმერებს უწევს. იგი თანამშრომლობს კაჭრეთის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრთან.

ბაგრატიონი 1882"-ის ცქრილა ღვინომ ოქროს მედალი მიიღო

ქართული კომპანია "ბაგრატიონი 1882"-ის ცქრილა ღვინომ ოქროს მედალი მიიღო.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "ბაგრატიონიდან აცნობეს, შამპანურის და ცქრილა ღვინის საერთაშორისო კონკურსზე "Новый Свет 2009" ოქტომბერში უკრაინაში გაიმართა, სადაც ოქროს მედლით დაჯილდოვდა "ბაგრატიონი 1882"-ის ცქრილა ღვინო - კლასიკური ნახევრად მშრალი. კონკურსში 15 ქვეყნიდან 31 კომპანია მონაწილეობდა. ექსპერტებისგან შემდგარ ჟიურის ფრანგი სპეციალისტი, ენოლოგი ჯონ სალვი ხელმძღვანელობდა. 80-მდე ნიმუშიდან "ბაგრატიონის" ცქრიალა ღვინოსთან ერთად უმაღლესი ჯილდო ფრანგული კომპანია "ჩHAMPAGNE ALFღED GღAთIEN"-ის, გერმანული "ჭეინგულ Bალტჰასარ ღესს"-ის, ესპანური "ფრეშენეტი"-ს და სხვა კომპანიების ცქრიალა ღვინოებმა მიირეს. კონკურსი ცქრიალა ღვინოების მწარმოებელი უკრაინული კომპანია "Новый Свет"-ის ორგანიზებით ჩატარდა.

სს "ელიტ ელექტრონიქსის" კრედიტორებს

გაცნობებთ, რომ **კრედიტორთა მორიგი კრება გაიმართება 2009 წლის 3 ნოემბერს 15.00 სთ.-ზე,** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N12 კმ. N6).

პატივისცემით,
სს "ელიტ ელექტრონიქსის" მეურვე / თ. მამასახლისი /

სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტიზო საქმიანობის უფლება მხოლოდ ლიცენზირებულ პირებს ექნებათ

სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტიზო საქმიანობის უფლება მხოლოდ ლიცენზირებულ პირებს ექნებათ.

ცვლილებები "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" კანონებში შედის.

კანონპროექტები სასამართლო-ფისიქიატრიული საექსპერტიზო საქმიანობის ლიცენზიის შემოღებას ითვალისწინებს.

ამასთან, სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი, პროექტის მიხედვით, 200 ლარია.

ინტერპრესნიუსი

სტრასბურგის სასამართლოში სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა 2 თებერვლისთვის გადაიდო

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა 2 თებერვლისთვის გადაიდო.

როგორც გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმი შალვა შავგულიძე აცხადებს, საქმის განხილვის თარიღის გადაწევის მიზეზი უცნობია.

"ჩვენთვის მიზეზი უცნობია, თუმცა აქ საგანგაშო არაფერია, რადგან მსგავსი რამ ხშირად ხდება," - აცხადებს ადვოკატი. მისივე თქმით, საქმეში "ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" საქართველოს სახელმწიფოს ბრალი ევროკონვენციის ოთხი მუხლით აქვს წაყენებული.

"თუ აღნიშნული ბრალდებები, კერძოდ, სიცოცხლის უფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების, წამების აკრძალვისა და დაცვის ეფექტური ზომების უფლებების დარღვევის ფაქტები დადასტურდება, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, საქმის თავიდან განხილვის შესაძლებლობა მოგვეცეს და მორალური ზიანის სახით საქართველოს ხელისუფლებისგან 300 000 ევრო მოვითხოვოთ," - აცხადებს შალვა შავგულიძე.

პირველი

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

მოსკოვში ადგილობრივმა მილიციამ 32 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავა, რომელიც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში მოქალაქეების ძარცვაშია ეჭვმიტანილი. მილიციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს საქართველოს მოქალაქემ თანამზრახველებთან ერთად დააყაჩაღა 52 წლის ჩინელი ბიზნესმენი და მას 115 ათასი აშშ დოლარი გასტაცა. ეჭვმიტანილი კიდევ სამმა დაზარალებულმა ამოიცნო.

სამართალდამცველთა აზრით, დაზარალებულები გარკვეულწილად თავად არიან დამნაშავეები, რადგან გადამცვლელი პუნქტებიდან ისინი გამჭვირვალე ცელოფნის პაკეტებით გამოდიოდნენ, რომლებშიც ნათლად ჩანდა ფულის დასტები.

მედიანიუსი

უზბეკეთიდან ექსტრადირებულს ასამართლებენ

თბილისის საქალაქო სასამართლო უზბეკეთიდან ექსტრადირებული ბრალდებულის, 1974 წელს დაბადებულ იოსებ რეხვიაშვილის საქმეს განიხილავს. პროცესი მოწმეთა დაკითხვის ეტაპზეა. რეხვიაშვილს უზბეკეთში ჩადენილი დანაშაულის - საბუთების გაყალბებისა და საქართველოში ჩადენილი მკვლელობისთვის ასამართლებენ.

დაკავებულის ექსტრადიცია 2009 წლის ზაფხულში მოხდა. რეხვიაშვილი 1996 წელს საქართველოში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა. სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რეხვიაშვილი მიიმალა, უზბეკეთში საბუთები გააყალბა და იქ ცხოვრობდა.

1996 წელს ყაჩაღობის მიზნით, რეხვიაშვილმა ორი ადამიანი მოკლა.

ინტერპრესნიუსი

თვითმკვლელობა საცხოვრებელი სახლის სხვენში

ნაძალადევის რაიონში თვითმკვლელობა მოხდა. 29 წლის გოჩა მჭედლიშვილმა საკუთარი სახლის სხვენში თავი ჩამოიხრჩო. თვითმკვლელობის ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა როგორც მეზობლები ამბობენ, მჭედლიშვილი ხშირად სვამდა და თვითმკვლელობა ადრეც სცადა. გოჩა მჭედლიშვილს მეუღლე და სამი შვილი დარჩა, მათ შორის ერთი - მცირეწლოვანი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ დაიწყო.

ჯი-ეიჩ-ენი

გახმაურებული საქმის სასამართლო განხილვა

25 აპრილს ფალიაშვილის ქუჩაზე ცოლ-ქმარ - გოჩა გვრიტიშვილზე და ელზა გულიაშვილზე მომხდარი თავდასხმის საქმის სასამართლო განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. მომხდარ დანაშაულში ყოფილი სიკვდილმისჯილი ირაკლი დოკვაძეა ბრალდებული. ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ირაკლი დოკვაძის საქმის განხილვა დღეს 10 საათზე განახლდება



თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოში წინასწარი გამოძიება გოჩა კვირჭიშვილის და ელზა გულიაშვილის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე აპრილის თვეში დაიწყო. ცოლ-ქმარი ოჯახის წევრებმა სახლში უგონო მდგომარეობაში იპოვეს. მოგვიანებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის მცდელობის დღეს მათთან ბინაში იმყოფებოდა ოჯახის მეგობარი ირაკლი დოკვაძე, რომელიც გამოძიებამ ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავა. ირაკლი დოკვაძემ ცოლ-ქმარის მკვლელობის მცდელობის ჩადენა უარყო. მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ამოიღეს სხვადასხვა ნივთები, მათ შორის დოკვაძის ტანსაცმელი და როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გადასაყრელად გამზადებული მისივე შავი ფერის ფეხსაცმელი, რომელიც მას შემთხვევის დროს ეცვა.

საქმეზე დაინიშნა და ჩატარდა ბიოლოგიური ექსპერტიზა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ფეხსაცმელზე აღინიშნებოდა სისხლის კვალი, რის საფუძველზეც ჩატარებულმა გენეტიკურმა ექსპერტიზამ, დაადგინა, რომ ფეხსაცმელზე აღმოჩენილი კვალი მიეკუთვნება ცოლ-ქმარ - გოჩა კვირჭიშვილს და ელზა გულიაშვილს. გამოძიების მონაცემებით, თავდამსხმელი გოჩა გვრიტიშვილსა და მის ორსულ მეუღლეს ჩაქუჩით გაუსწორდა.

თავდასხმის შედეგად დაზარალებულ ელზა გულიაშვილის, რომელიც შემთხვევის დროს ფეხმძიმედ იმყოფებოდა, ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლაც მძიმეა.

ცოლ-ქმარს გადაუდებელი სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდათ. ორივეს თავის ქალის ღია ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ექიმების განცხადებით, ელზა გულიაშვილი შესაძლოა ინვალიდი გახდეს.

ირაკლი დოკვაძე ერთხელ უკვე იყო პატიმარი, 1995 წლის 6 მარტს უზენაესმა სასამართლომ ირაკლი დოკვაძესა და მის თანამოაზრე პეტრე გელბახიანს "მხედრიონის" ლიდერის ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ ჩიქოვანის ქუჩაზე ტერორისტული აქტის მოწყობისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. 1992 წელს განხორციელებული ტერაქტისას ექვსი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი და ფეხმძიმე ქალი. საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ მსჯავრდებულებს სასიკვდილო განაჩენი 20 წლით პატიმრობით შეეცვალათ. დოკვაძე და გელბახიანი 2003 წლის შემოდგომაზე შეიწყალეს.

"ვარდების რევოლუციით" მოსულმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან ეროვნული შერიგების აქტი გააფორმა, რაც ქაშვეთის ეკლესიაში აღნიშნეს. ამ აქტის საფუძველზე შექმნილმა ეროვნული თანხმობის კომისიამ, რომელსაც 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზებისთვის გასამართლებული და "ვარდების რევოლუციით" მოსული ხელისუფლების მიერ სახელმწიფო მინისტრად დანიშნული გურამ აბსანძე ხელმძღვანელობდა, გააბრაგებულ ზვიადისტთა 100-კაციანი ჯგუფი გამოიყვანა ტყიდან. თუმცა, ამ ფართომასშტაბიან ეროვნულ თანხმობას წინ უსწრებდა შევარდნაძის ხელისუფლებაზე განაწყენებული რამდენიმე ზვიადისტის შემორიგება. მალევე უზენაესმა სასამართლომ ჯაბა იოსელიანის ტერაქტის გამო გასამართლებული ირაკლი დოკვაძის რეაბილიტაცია მოახდინა. ირაკლი დოკვაძე, გარდა მორალური რეაბილიტაციისა, 10 მილიონ ევროსაც ითხოვდა. დოკვაძის რეაბილიტაციის გარანტი კვლავ გურამ აბსანძე და მისი კომისია გახდა, მართალია, 10 მილიონი ევროს გადახდა არა, მაგრამ დოკვაძის მორალური რეაბილიტაცია მოხდა და ორწელიწადნახევარი სიკვდილმისჯილთა საკანში გატარებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტს 20 ათასი ლარის გადახდაც დაეკისრა

"ჩემს მიმართ ადგილი ჰქონდა არა მარტო საქართველოს კანონმდებლობის სასტიკ დარღვევას, არამედ საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფას. ჩემს მიმართ განხორციელდა სისხლის სამართალწარმოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) უკანონო ქმედებები, რის გამოც მე მივიღე ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანი. ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ თითქმის სამი წლის განმავლობაში ვიჯექი სიკვდილმისჯილთა საკანში და კარის ყველა შემოღებაზე ველოდებოდი სიკვდილს," - აცხადებდა მაშინ ირაკლი დოკვაძე, რომელიც სასამართლოს წინაშე ამჯერადაც მძიმე ბრალდებით წარსდგება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში კიდევ ერთი გახმაურებული საქმის განხილვა მიმდინარეობს - სერიულ ყაჩაღობაში, ქურდობაში, განზრახ მკვლელობის მცდელობასა და სხვა მძიმე დანაშაულებებში ბრალდებული არასრულწლოვნების საქმის განხილვა.

საქმეში განსასჯელია 1991 წელს დაბადებული რომან კუნჭულია, 1991 წელს დაბადებული ლევან კიწმარიშვილი, 1989 წელს დაბადებული სტეფანე ზარგარიანი, 1990 წელს დაბადებული გელა ოქროპირიძე, 1989 წელს დაბადებული ალექსი ოთანაძე და 1993 წელს დაბადებული გიორგი დაუთაშვილი. მათ ბრალად ედებათ 2008-2009 წლებში თბილისში ჩადენილი სერიული მძიმე დანაშაულებები. შესაბამისად, საქმეში ბევრი დაზარალებულია. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მილერი ხარებავა იხილავს. ბრალდებულები 2009 წლის 5-7 ივნისს დააკავეს. მომდევნო სხდომა 6 ნოემბერს განახლდება.

საკუთარი ინფორმაცია

მოსწავლეთა რეგისტრაცია დასრულდა

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მოსწავლეთა რეგისტრაცია უფასოდ ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რეგისტრაცია უნდა გაევლოთ მხოლოდ იმ მოზარდებს, რომელთაც არ გააჩნდათ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადი ნომრის მინიჭების შესახებ შესაბამისი ცნობა ან ისეთი დაბადების მოწმობა, რომელზეც მითითებულია პირადი ნომერი.

დღევანდელი მონაცემებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში 581 177 ბავშვი დარეგისტრირდა. აქედან პირადობის მოწმობა 231 214-მა მოსწავლემ აიღო.

"სასკოლო ასაკის ბავშვების რეგისტრაციით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებას სოციალური პროგრამების უფრო ეფექტიანად განხორციელებაში დაეხმარება. თუ ვინმე დარჩა რეგისტრაციის გარეშე, ან 14 წლის ასაკს მიაღწია და არ აქვს პირადობის მოწმობა, ვთხოვთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვიდეს ჩვენთან, რათა უკვე არსებულ მონაცემთა ბაზაში შევიტანოთ დამატება", - განაცხადა სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1996-2002 წლებში გაიცემოდა დროებითი დაბადების მოწმობები. ამგვარი დაბადების მოწმობების გამოცვლა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მეხუთე სამუშაო დღეს უფასოა.

14 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, აიღოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მოწმობის მიღება მეათე სამუშაო დღეს უფასოა; პირადობის მოწმობის აღება, სურვილისამებრ, შეუძლია 14 წლამდე ასაკის მოქალაქესაც.

ბლერი ევროკავშირის ხელმძღვანელის პოსტს სულ უფრო შორდება

მარიკა იაშვილი

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ორგანიზაციის ისტორიაში პირველი პრეზიდენტის კანდიდატურების შესახებ კონსულტაციები დაიწყეს. ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტის შექმნა ლისაბონის შეთანხმებით არის გათვალისწინებული, რომელიც 2010 წლის პირველ იანვარს უნდა შევიდეს ძალაში. ხელშეკრულების გაფორმებას, ჩეხეთის გარდა, ორგანიზაციის წევრმა ყველა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. პრეზიდენტის თანამდებობასაც შეთანხმების ოფიციალურად ამოქმედების შემდეგ შემოიღებენ.

დასავლურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც ამ დრომდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, პოსტის დაკავების შანსს ნელ-ნელა კარგავს. ბლერის კანდიდატურა ევროპის ბევრ ქვეყანაში იწვევს უკმაყოფილებას. პირველ რიგში, ამის მიზეზია დიდი ბრიტანეთის ჩართვა ერაყის ომში, რომელიც ამერიკამ და გაერთიანებულმა სამეფომ დაიწყეს ცრუ საბაბით, თითქოს ოფიციალური ბაღდადი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა. მეორე მიზეზი ის არის, რომ ბრიტანეთი ევროზონასა და ევროკავშირის შენგენის ზონაში არ შედის. ბლერის წინააღმდეგ ის ფაქტიც მოქმედებს, რომ ის ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს - გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელია, რომელიც ევროკავშირში ისედაც დიდი გავლენით სარგებლობს. პატარა სახელმწიფოები შიშობენ, რომ დიდი ქვეყნები ორგანიზაციის მთელ მუშაობაზე მოიპოვებენ კონტროლს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ, რომ ბლერის წინააღმდეგ ევროკავშირში ერთიანი ფრონტი იქმნება. რამდენიმე დღის წინ ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი ბრიტანელი ექს-პრემიერის წინააღმდეგ ერთიანი პოზიციით გამოვიდნენ. ბენილუქსის ქვეყნების აზრით, ევროკავშირს უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს კომპრომისის მიღწევას ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოსთან, თან სასურველია, რომ იგი პატარა ქვეყნის წარმომადგენელი იყოს. არსებული ინფორმაციით, ბლერის კანდიდატურას კატეგორიულად ეწინააღმდეგება გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც. მისი თანხმობის გარეშე კი, ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტს ვერც ერთი კანდიდატი ვერ დაიკავებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად ბლერს ჯერ ოფიციალურად არ განუცხადებია, აპირებს თუ არა პოსტისთვის ბრძოლას. მომავალი პრეზიდენტის არჩევისთვის ბრძოლაში ახლა უკვე ევროპარლამენტიც ჩაერთო. მისმა დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 11 ნოემბერს ამ საკითხზე საგანგებო დებატები უნდა გაიმართოს. ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტზე ტონი ბლერის არჩევის ინიციატივით გასულ წელს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გამოვიდა. ახლა ის ცდილობს, მიაღწიოს ორგანიზაციის საგანგებო სხდომის ჩატარებას, რომელზეც ბრიტანელი პოლიტიკოსის კანდიდატურას საბოლოოდ დაამტკიცებენ.

ბლერის კანდიდატურას აქტიურად უჭერენ მხარს და უკვე ლობირებენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი, მიუხედავად პირადი დაძაბული ურთიერთობისა, და საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი. ბლერის მხარდაჭერას არ აპირებს "კონსერვატორთა" ლიდერი დევიდ კემერონი, რომელსაც ალბათ მოუწევს 2010 წლის გაზაფხულზე გაერთიანებული სამეფოს მთავრობის სათავეში ჩადგომა. "კონსერვატორები" საერთოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი ლისაბონის შეთანხმებისა და ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტის მიმართ.

ამ პირობებში სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იღებს პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი, ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი იან პეტერ ბალკენენდე. გარდა ამისა, ბლერის კანდიდატურის შესახებ აზრთა ასეთი სხვადასხვაობის გამო, ევროკავშირის ხელმძღვანელობის კანდიდატი ხდება ესპანეთის ყოფილი პრემიერი ფელიპე გონსალესიც.

ევროკავშირის პრეზიდენტობის კანდიდატთა საკითხი, სავარაუდოდ, 29-30 ოქტომბრისთვის დაგეგმილ შემოდგომის სამიტზე იქნება განხილული.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩა №24-ში, ლერმონტოვის ქუჩა №107ჟ-ში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №37-ში საცხოვრებელი სახლების სახურავის შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

ლოტი №1 - ქ. ბათუმში გრიბოედოვის ქუჩა №24-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის სამუშაოები;

ლოტი №2 - ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქუჩა №107ჟ-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები;

ლოტი №3 - ქ. ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №37-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები;

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 25 დეკემბრამდე** პერიოდი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 28 ოქტომბერის 12:00 საათიდან 2009 წლის 17 ნოემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერია
- ს/კ 245576826
- მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი", ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125
- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩა №24-ში, ლერმონტოვის ქუჩა №107ჟ-ში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №37-ში საცხოვრებელი სახლების სახურავის შეკეთების სამუშაოები

5. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 18 ნოემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული სახურავების მოწყობა, შეკეთება-რეკონსტრუქციის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2007, 2008 და 2009 (2009 წლის 1 ოქტომბრამდე) წლები) განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (სახურავების მოწყობა; ან/და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია) სამუშაოები, საერთო ღირებულებით 150.0 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 40.0 ათას ლარს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოს შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება	შენიშვნა: სავალდებულოა ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა
1					
2 და ა.შ.					
	სულ ჯამი				

შენიშვნა:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ტენდერში მონაწილე პრედენტენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცემების 9.1. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისაგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

<u>სატენდერო კომისია</u>

ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციის ბოლო ბარიერი

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო იწყებს 17 "ევროსკეპტიკოსი" სენატორის სარჩელის განხილვას იმის შესახებ, არის თუ არა ლისაბონის ხელშეკრულება სუპერსახელმწიფოს შექმნის საფუძველი და შესაბამისად ზღუდავს თუ არა ჩეხეთის სუვერენიტეტს. ლისაბონის ხელშეკრულება უკვე რატიფიცირებულია ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის, მათ შორის თვით ჩეხეთის პარლამენტის მიერ და მხოლოდ ამ ქვეყნის პრეზიდენტის ხელმოწერა აკლია. პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი კი მორალურ და ალბათ ნაწილობრივ პოლიტიკურ მხარდაჭერასაც უცხადებს "ევროსკეპტიკოს" დეპუტატებს და აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე რატიფიტაციის დოკუმენტს ხელს არ მოაწერს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები უკვე წუწუნებენ, რომ მათზე სერიოზული ზეწოლა ხორციელდება. სასამართლო სხდომის დანიშვნა ევროკავშირის სამიტამდე ორი დღით ადრე მათთვის სერიოზული გამოცდაა. მოსამართლეები აცხადებენ, რომ ბოლო დღეებში მათ რამდენიმე ახალი პეტიცია მიიღეს და შეიძლება გადაწყვეტილების მისაღებად ერთი დღე არ ეყოთ. არადა ყველასთვის ცხადია, რომ სამიტის მონაწილეებისთვის ჩეხეთის პრობლემით "ხასიათის გაფუჭება" უმრავლესობას არც ჩეხეთში სურს და, მით უმეტეს, არც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

აუშევის მკვლელობა უნდა გაიხსნას!

ადამიანის უფლებათა დაცვის გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "ამნესტი ინტერნეიშენალმა" განაცხადა, რომ ინგუში ადამიანის უფლებათა დამცველის მაკშარიპ აუშევის მკვლელობა გაუხსნელი არ უნდა დარჩეს და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ეს აუცილებელია ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელისუფლებამ, მათ შორის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეები, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონში ძალადობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

"ჰუმან რაითს უოთჩმა" ეჭვქვეშ დააყენა ინგუშეთის პრეზიდენტ იუნუს-ბეკ ევკუროვის უნარი, შეინარჩუნოს რესპუბლიკაში აზროვნების პლურალიზმი. რაც ყველაზე საინტერესოა, თვით ევკუროვმა რადიო "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში არ გამორიცხა, რომ აუშევის მკვლელობაში შეიძლება ჩარეულნი იყვნენ ძალოვანი სტრუქტურები, თუმცა დაამატა, რომ ამ საქმესთან არანაირი კავშირი არა აქვს ინგუშეთის ხელმძღვანელობას. მან ისიც თქვა, რომ ეს ტერაქტი პირადად მის წინააღმდეგ არის მიმართული.

ბაღდადის აფეთქებები შეიძლება "ალ კაიდას" უკავშირდებოდეს

"ალ კაიდასთან" დაკავშირებული დაჯგუფების - "ისლამური სახელმწიფო ერაყის" წარმომადგენლებმა ინტერნეტში გამოქვეყნებული განცხადების საშუალებით თავის თავზე აიღეს ბაღდადში კვირას განხორციელებული აფეთქებები. ორი აფეთქების შედეგად დაიღუპა 155 და დაიჭრა 500-ზე მეტი ადამიანი. განცხადებაში ნათქვამია, რომ თვითმკვლელი ტერორისტების სამიზნეები იყო იუსტიციის სამინისტროს და ბაღდადის გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობები.

ავღანეთის პრეზიდენტი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელს არ ხსნის

პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ არ დააკმაყოფილა არჩევნებში თავისი მთავარი კონკურენტის, მეორე ტურში გასულ აბდულა აბდულას მოთხოვნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსნის შესახებ. ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 7 ნოემბერს არის დანიშნული. მასში მხოლოდ ჰამიდ ყარზაი და აბდულა აბდულა მიიღებენ მონაწილეობას. მეორე ტურის დანიშვნა დასავლეთის სერიოზული ზეწოლით მოხერხდა, მას შემდეგ, რაც საჩივრების განსახილველად გაერო-ს დახმარებით შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ ყარზაისთვის მიცემული ხმების დიდი ნაწილი გაყალბებულად ცნო.

აბდულა აბდულა მიიჩნევს, რომ საარჩევნო კომისიაში, რომელსაც აზიზულა ლუდინი ხელმძღვანელობს, ძირითადად ყარზაის მომხრეები არიან და მათ პატიოსანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არ შეუძლიათ. პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ამ ბრალდებას უარყოფს და კომისიის თავმჯდომარის მოხსნას არ აპირებს. იგი მიიჩნევს, რომ პირველ და მეორე ტურებს შორის ხელმძღვანელის შეცვლა არც არჩევნებისთვის იქნება კარგი და არც ქვეყნისთვის. გაერო-ს წარმომადგენლებმაც მოითხოვეს საარჩევნო კომისიების რამდენიმე ათასი თანამშრომლის შეცვლა, ძირითადად, იმ რაიონებში, სადაც არჩევნები სერიოზულად გაყალბდა. გაერო-ს ცნობით, ამ საუბნო კომისიების შემადგენლობა უკვე იცვლება.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ნატო-ს მომავალი - კითხვის ნიშანი

პირველი გვერდიდან

საწინააღმდეგო ვერსიის აქტიურად მტკიცების მიუხედავად, ნათელია, რომ ამ ეჭვებს შეუძლია გააძლიეროს უთანხმოება არა მხოლოდ აშშ-სა და ევროპას შორის, არამედ თვითონ ევროპაშიც - მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის.

ამ დროისათვის მთავარი კითხვა ის არის, რამდენად უნდა იყოს ნატო "ექსპედიციური" ალიანსი, ინტერვენციის იარაღი თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, როგორც ავღანეთის შემთხვევაში, და ხომ არ არის უკეთესი, თუ ორგანიზაცია მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციით შემოიფარგლება; ნატო-ს რესურსების რა ნაწილი უნდა იყოს გამოყოფილი შორეულ მანძილზე სწრაფი რეაგირებისთვის, რესურსების რა ნაწილი უნდა დარჩეს სახლში ევროპულ ბაზებზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ისეთი საფრთხეების წინაღმდეგ სამოქმედოდ, როგორიც ტერორიზმი და კიბერ-ომია? ამ კითხვებს პასუხს გასცემს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომლის შემუშავებაც მომავალ წელს დასრულდება.

ნატო-ს მომავლის განსაზღვრაში უდიდეს როლს ავღანეთის ომის შედეგი შეასრულებს. ეჭვგარეშეა, რომ ომში განცდილი მარცხი ორგანიზაციის ოცდარვავე წევრ სახელმწიფოს აიძულებს, სერიოზულად დაფიქრდეს ალიანსის მოქმედებაზე მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს, წარმატება ან ნაწილობრივი წარმატებაც კი შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი წინააღმდეგობების მოსასპობად, თუკი გაირკვევა, რომ ამ ომში ევროპის მონაწილეობა მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა.

თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი სულ სხვა საკითხი იყოს: როგორ უნდა ააწყოს ორგანიზაციამ რუსეთთან ურთიერთობა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ძველებურად სახიფათოა თავისი უახლოესი საზღვარგარეთისთვის და თან არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, არამედ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილ ქვეყნებისთვისაც, მაგალითად პოლონეთისთვის. ეს კი ნატო-ს ახალი წევრებისთვის ერთგვარი მოტივაციაა. ისინი ექსპედიციურ ფუნქციებზე მხოლოდ ზედაპირულად ლაპარაკობენ, რეალურად კი სურთ, უზრუნველყონ საკუთარი თავდაცვა, რაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლით არის გათვალისწინებული: ნატო-ს თუნდაც ერთ წევრზე შეიარაღებული თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ალიანსის წევრ ყველა ქვეყანაზე. აღმოსავლეთ ევროპაში კი პოტენციურ აგრესორად რუსეთი მიიჩნევა.

ბრატისლავას შეხვედრის წინ ბევრმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა ნატო-ს მომავლის შესახებ გამართულ კონფერენციაში, რომელიც სლოვაკური ატლანტიკური კომისიის (Slovak Atlantic Commission) მიერ იყო ორგანიზებული. კონფერენციის მონაწილეების მთავრი კითხვა შეთანხმების მე-5 მუხლის აზრსა და მნიშვნელობას ეხებოდა. ეს მუხლი პრაქტიკაში მხოლოდ ერთხელ - 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გამოიყენეს. ბუშის ადმინისტრაცია შეთანხმების ამ ნაწილს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მას მხარდასაჭერად მხოლოდ მოხალისეთა კოალიცია სჭირდებოდა და არა ნატო. ეს ალიანსის ერთგული მომხრეებისთვის სერიოზულ დარტყმად იქცა.

რაც შეეხება ახალ საფრთხეებს ანუ კიბერომებს, ამ საშიროების წინაშე უკვე აღმოჩნდა ორი ქვეყანა - ესტონეთი და საქართველო. ორივე თავდასხმა დროში მოსკოვთან კონფრონტაციის პერიოდს დაემთხვა. არ არის გამორიცხული, რომ მათ უკან რუსეთი იდგა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოება აშკარად საფრთხის წინაშე დადგა, ნატო წინააღმდეგობისთვის მზად არ აღმოჩნდა. ესტონეთის შემთხვევაში, რომელიც ალიანსის წევრია, მე-5 მუხლის გახსენება ვერავინ გაბედა.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ევროპაში ყველაფრის მიღება სურს: მას უნდა, ნატო-ს რიგებში სოლიდარობა მიიღოს და ამავე დროს რუსეთთან შეთანხმება შეძლოს. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა აღმოსავლეთ ევროპაში სულ ახლახან დაასრულა ტურნე, რომლის დროსაც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემების რეკლამირებას ცდილობდა. ეს სისტემა, ამერიკელების განცხადებით, დაიცავს ნატო-ს ყველა მოკავშირეს და თანაც ისე, რომ რუსეთის გაღიზიანებას არ გამოიწვევს. რუსეთს სურს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებაზე შეზღუდვები სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ გასაფორმებელ ახალ ხელშეკრულებაში იყოს გათვალისწინებული. მას, აგრეთვე, სურს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში "გავლენის სფერო" გააჩნდეს.

ამ ორი მიმართულების ერთ შეთანხებაში გაერთიანება ურთულესი პროცესი იქნება, იმ დრომდე მაინც, სანამ რუსეთი ძალის დემონსტრირებასა და ახლო მეზობლების დაშინებას განაგრძობს.

ამავე თემაზე გუშინ ვაშინგტონის საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში სიტყვით გამოვიდა ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი. ცნობილი ექსპერტის მოხსენების მთავარი თემა სწორედ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, რუსეთთან ნატო-ს ურთიერთობა და მისი გაფართოების პერსპექტივები იყო. ექსპერტმა საქართველოსა და ნატო-ს ურთიერთობაზეც ისაუბრა.

ბჟეზინსკის თქმით, მოსკოვი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ზრუნვას თავიანთ უსაფრთხოებაზე და მათ მცდელობას ალიანსში გაწევრიანებაზე, უშუალოდ მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს, რაც სინამდვილეში ასე არ არის. ბჟეზინსკიმ აგვისტოს მოვლენებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ნებისმიერ ქვეყანას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება. მისი თქმით, ნატო-ს წევრებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ემუქრებათ თავდასხმის პოტენციური საფრთხე არაწევრი ქვეყნების მხრიდან, აქვთ ადგილობრივად წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. ამგვარი პოლიტიკა საკმარისია, რათა გაიზარდოს საერთაშორისო კრიზისის დონე. ამ მხრივ საინტერესოა საქართველო-რუსეთის შემთხვევა. საქართველო არ იყო ნატო-ს წევრი. კონფლიქტის შემდეგ რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში იდგნენ. იყო საშიშროება, რომ მთელი მთავრობა დამხობილიყო, ქვეყანა დანგრეულიყო, მომხდარიყო ის, რაც ჩეხოსლოვაკიაში მოხდა. საქართველოს წინააღმდეგობის გაგრძელება რომ შეძლებოდა, მაშინ საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთებას შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა ნატო-ზე და ალიანსს კოლექტიური პასუხი გაეცა.

ჩრდილეთ კავკასიაში სროლები არ წყდება

ავტობუსის მგზავრებისათვის დოკუმენტების შემოწმების დროს, ჩეჩნეთში ორი მილიციელი დახვრიტეს. მილიციას ცეცხლი გაუხსნა ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელიც ბოევიკი აღმოჩნდა.

ინციდენტი მოხდა სამეთვალყურეო პუნქტ "ტოპაზთან", რომელიც ქალაქ ნიკოლაევსკის გარეუბანში მდებარეობს. ნაურსკის რაიონის მილიციელებმა მგზავრებისათვის საბუთების შესამოწმებლად სარეისო ავტობუსი გააჩერეს. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგნლებმა ორ მგზავრს, რომლებიც საეჭვოდ გამოიყურებოდნენ მოსთხოვეს დოკუმენტები. ერთ-ერთმა მათგანმა მილიციელებს ცეცხლი გაუხსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. შედეგად ორი მილიციელი გარდაიცვალა. დევნის პროცესში მოხერხდა ერთ-ერთი დამნაშავის პოვნა და ლიკვიდაცია.

მოკლულის ვინაობაა დადგენილია. ეს არის სოფელ ნოვოტერსკოეს მკვიდრი მაგომედ ბუცაევი. მასზე ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზებისა და მასში მონაწილეობისათვის. მოკლული ბოევიკს მეტსახელია "მახმატ რიჟიი". ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით ის ურუს-მარტანის რაიონის სოფელ ალხაზუროვოზე შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობდა. ავტობუსის დათვალიერების შემდეგ მილიციამ მგზავრების სკამის ქვეშ აღმოაჩინა სპორტული ჩანთა, სადაც იდო ორი ავტომატი, 12 მჭიდი, 400-ზე მეტი ვაზნა, რადიოსადგური "მიდლენდი", ყუმბარის სამი ამფეთქი, ვაჰაბისტური შინაარსის ორი ბროშურა.

სამშაბათს კიდევ ერთი ბოევიკი იქნა მოკლული. ჩეჩნეთის შინაგან საქნეთა სამინიტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მილიციელება სამძებრო-ოპერატიული ღონისძიების დროს ვედენოს რაიონში, დასახლებულ პუნქტ მახკეტთან ახლოს ტყეში მიაკვლიეს უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრს, რომელმაც მილიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და ორმხრივი სროლების დროს დაიღუპა.

დადგენილია მისი ვინაობაა - ვედენოს რაიონის სოფელ ტევზანის მცხოვრები რამზან ჯავატხანოვი. ამ წლის დასაწყისში იგი ვედენოს რაიონში მოქმედ ბანდფორმირებაში გაწევრიანდა.

პოლიციის პირად შემადგენლობაში დანაკარგი არ არის. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატი, ხუთი სავსე მჭიდი, სამი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, დიდი რაოდენობით ვაზნები და საკვები პროდუქტები.

ინციდენტი მოხდა დაღესტანშიც, კიზილიურტის რაიონის სოფელ კულზებში სამშაბათს ღამით დახვრიტეს მილიციის მაიორი აბდურახმან მაგომედოვი. იგი ადგილზევე გარდაიცვალა. მაგომედოვს უცნობებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, როდესაც იგი სახლიდან საკუთარ ეზოში გამოვიდა. მილიციელის მკვლელ ბანდიტებს ეძებენ. წინასწარი ვარაუდით, უფროსი ოფიცრის მკვლელობის მოტივი შესაძლოა იყოს მისი პროფესიული საქმიანობა.

მოამზადა თამთა კახაძემ

რევიუ

ჯაზი თბილისში დაიწყო!

პირველი გვერდიდან

ცალკე თემაა თავად ჯეიმს კარტერი. ცხადია, ფიზიოლოგიურად ეს მუსიკოსი ჩვეულებრივი ადამიანია, მაინც ჩნდება ეჭვი, რომ მისი ფილტვები განსაკუთრებული აგებულებისაა. უბრალოდ წარმოუდგენელია ჩვეულებრივმა ადამიანმა ინსტრუმენტს ასეთი თავგანწირული ხმა გამოაცემინოს. კონცერტისას იყო რამდენიმე მომენტი, როდესაც ძნელი იყო დაჯერება, რომ იმ დროს ფლეიტა ან საქსოფონი ხორციელ ადამიანს ეპყრა. ჯეიმს კარტერმა და მისმა მუსიკოსებმა მათ ხელთ არსებული მთელი მუსიკალური არსენალი გამოიყენეს, რის დროსაც მუზიცირების პიკს მიაღწიეს კიდეც.

ამის მეტი თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, მეტი რა უნდა მოგვესმინა, მაგრამ წინ საღამოს განსაკუთრებული სტუმარი, ფესტივალის მთავარი ჰედლაინერი - მარკუს მილერი და მისი ფანტასტიკური ბენდი გველოდა. წელს მილერი ევროპულ ტურნეს მაილს დევისის 1986 წლის გენიალური ალბომის, "თუთუს" წარდგინებით მართავს. "მქონდა ბედნიერება მაილს დევისთან ერთად წლების განმავლობაში მემუშავა. ჩვენ ერთად რამდენიმე ალბომი ჩაწერეთ, მათ შორის იყო "თუთუ" - ჩემი აზრით ერთ-ერთი დიდებული ჯაზ პროექტი, რომელიც დღეს თქვენთვის წარმოვადგინეთ. ვინაიდან "თუთუს" შექმნაში ჩემი წვლილიც მნიშვნელოვანია, ახლა ძნელია სუბიექტურობის გარეშე შევაფასო იგი, თუმცა ფაქტი ერთია, ამ ალბომმა წლების შემდეგაც არ დაკარგა აქტუალობა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემს ბენდთან ერთად იგი ხელახლა გამეცოცხლებინა. უბრალოდ მაინტერესებდა, როგორ დაინახავდნენ მას ახალგაზრდა მუსიკოსები და როგორ შეაფასებდა ახალგაზრდა მსმენელი", - აღნიშნა წინა დღეს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მარკუს მილერმა.

ჯეიმს კარტერი

მიმა ბერსაბეიშვილის ფოტო

ახალგაზრდა მუსიკოსები საქსოფონისტი ალექს ჰანი და მესაყვირე კრისტიან სკოტი არიან. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ თანამედროვე ჯაზი ზრდას და განვითარებას განაგრძობს, სწორედ ამ ორ დიდებულ მუსიკოსს უნდა მოუსმინოს. მათ შესახებ მილერიც საუბრობს: "ალექს ჰანი 20 წლის იყო, როდესაც პირველად მოვუსმინე და მივხვდი, რომ მასთან ერთად მუშაობას შევძლებდი და ამისგან სიამოვნებასაც მივიღებდი. ეს არ იყო პირველი შთაბეჭდილებით აღტაცება, ჩვენ უკვე დიდი ხანია ერთად მოვდივართ და ყოველ ჯერზე ვრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. განსაკუთრებული მისია აკისრია კრისტიან სკოტს - ის მაილს დევისის პარტიებს ასრულებს. თავიდან მას დევისის კოპირების მცდელობა ჰქონდა, თუმცა ვთხოვე, ამ მუსიკაში საკუთარი უფრო მეტი ჩაედო. მან ეს შეძლო და სწორედ ამიტომაც დგას დღეს ჩემთან ერთად ამ სცენაზე".

ძალიან ძნელია იმის სიტყვებით აღწერა, რაც მილერმა და კომპანიამ შემოგვთავაზა - მათი მუსიკის ფონზე ყველაზე აღტაცებული სიტყვებიც კი უფერულდება. ეს იყო იმაზე მეტი, ვიდრე წარმოდგენაა შესაძლებელი - ამიტომ მხოლოდ ერთი სიტყვით გეტყვით - ეს იყო ნამდვილი სასწაული! სასწაული იყო მათთვისაც კი, ვისაც არასდროს მოუსმენია "თუთუს" ორიგინალი ვერსია, მაილს დევისის გენიალური ბგერები. "არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა, რომ ჩვენი "თუთუ" დევისის დროინდელი ჩანაწერის ქოვერ ვერსია ყოფილიყო - მინდოდა, ის ჩვენი ალბომი გამხდარიყო. ამ ალბომთან დაბრუნება ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო, თუმცა ძალას ის მაძლევდა, რომ ამით მაილს დევისისადმი ჩემს დამოკიდებულებასაც გამოვხატავდი. ვფიქრობ, მისია შესრულებულია", - ასეთი იყო მარკუს მილერის კომენტარი.

P.S. მოკლედ, დიდი საკონცერტო დარბაზი ირლანდიელი მოცეკავე ჭინკებისგან ბოლომდე განიწმინდა - ჯაზი თბილისში დაიწყო!

იზეიმებენ თუ არა იტალიაში?!

ჟორჟო ვაზარის მემკვიდრეობა სპეკულაციის საგანი გახდა

თამარ კიკნაველიძე

იტალიური აღორძინების შესახებ ინფორმაციამ ჩვენამდე იტალიელი ფერმწერის, არქიტექტორისა და მწერლის - ჯორჯო ვაზარის წყალობითაც მოაღწია. მან აღწერა ცნობილი ხელოვანების ცხოვრება და ამასთან, საფუძველი ჩაუყარა იმას, რასაც ახლა ხელოვნებათმცოდნეობას უწოდებენ. ამ ადამიანის დამსახურება მასშტაბურია და შეიძლება ითქვას, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებს სცდება. მისი მემკვიდრეობა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მისდამი ინტერესი დღემდე არ განელებულა. თეორეტიკოსები უმალ ვაზარის ჩანაწერებს მიმართავენ ხოლმე, როდესაც იტალიის თვალსაჩინო პერიოდს იკვლევენ. თუმცა, კულტურულ მონაპოვრად მიჩნეული ხელნაწერები სულ ახლახანს სპეკულაციის საგანი გახდა. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია პირველად იტალიურ საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა და შემდეგ გავრცელდა.

რატომ გახდა ვაზარის ხელნაწერები სპეკულაციის საგანი? ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც იტალიელის არქივი რუსულმა კომპანიამ 150 მილიონ ევროდ შეიძინა. გუშინ კი იტალიის იუსტიციის მინისტრმა, ანჯელინო ალფანომ განაცხადა, რომ რუსული კომპანიის მიერ შეძენილი არქივი რესპუბლიკის საზღვრებს ვერ გასცდებოდა. მისი თქმით, არსებობს განსაკუთრებული იურიდიული მდგომარეობა, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის მემკვიდრეობას ტოსკანას ქალაქ არეცოში მდებარე სახლის დატოვების უფლებას არ აძლევს.

ჟორჯო ვაზარის 31 საქაღალდის გაყიდვის შესახებ რუსებმა 2009 წლის 23 ოქტომბერს შეიტყვეს. ხელნაწერები ეკუთვნოდა ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილ გრაფს, ჯოვანი ფესტარის, რომელიც არქივს სიკვდილამდე უპრეცენდენტო თანხაში შეელია. 26 ოქტომბრისთვის პრესაში რუსული კომპანიის სახელწოდება მოხვდა. სააგენტო ANSA.it-ი მას ასახელებს, როგორც Ross Engineering, ხოლო La Reppublica - OOOR.O.S.S.Engineering. რას ამბობენ ფესტარის მემკვიდრეები? ისინი ირწმუნებიან, რომ არქივის მყიდველებმა კულტურის სამინისტროს მოთხოვნის შესახებ - დოკუმენტებმა ქ. აროცო არ უნდა დატოვოს - იცოდნენ.

სააგენტო ANSA.it-ის მიერ გავცელებულ ინფორმაციას თუ გავეცნობით, ვნახავთ, რომ ის ვიტორიო ზგარბის მოსაზრებას გვამცნობს. იტალიაში ცნობილი კრიტიკოსი ვარაუდობს, რომ ღირებულება არქივისა, რომელშიც მიქელანჯელოს გარდა, ვაზარის სხვა თანამედროვეთა წერილები ინახება, გაბერილია. "ის შეიძლება შევაფასოთ 10-15 მილიონად, მაგრამ არა 150 მილიონად", - აღნიშნავს ზგარბი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ამბავი ატეხილია იმის გამო, რომ იტალიის მთავრობა აიძულონ გადაიხადოს უზარმაზარი თანხა იმისათვის, რომ არასებული გარიგება გაუქმდეს. ზგარბის მოსაზრებას იტალიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, ჯუზეპე პროეტიც იზიარებს. მისი თქმით, 150 მილიონი აბსურდული თანხაა და არქივის საბაზრო ღირებულებას ბევრად აღემატება. აღსანიშნავია, რომ არქივთან დაკავშირებულ გარიგებაში რომის პროკურატურაც ჩაერთო.

ამასობაში კი არეცოს მერი - ჯუზეპე ფანფანი, რომელმაც ვაზარის საქმის შესწავლის თხოვნით მინისტრთა კაბინეტსა და რუსეთის საელჩოსაც მიმართა, დაიმუქრა რომ 2011 წელს დაგეგმილ ღონისძიებას, რომელიც ჯორჯო ვაზარის დაბადებიდან 500 წლისთავს მიეძღვნება, გადადებს თუ გარიგებას კანონიერად ცნობენ და ხელნაწერებს ტოსკანადან გაიტანენ.

ვაზარის პირველი მასწავლებელი იყო ფრანგი მხატვარი, გილიომ დე მარსილია, რომელიც არეცოს ეკლესიების ვიტრაჟებს ხატავდა. 1524 წელს ის ცხოვრობდა ფლორენციაში, სწავლობდა ანდრეა დელ სარტოსთან, მიქელანჯელოსა და ბანდინელისთან. ახალგაზრდა ვაზარის მფარველობდნენ ალექსანდრე და იპოლიტ მედიჩები, რომლებმაც ფლორენცია იძულებით დატოვეს და ვაზარიც დაბრუნდა არეცოში, სადაც რამდენიმე შეკვეთა მიიღო და ფრესკებსაც კი ქმნიდა.

ჟორჯო ვაზარი, როგორც მხატვარი, ტოსკანური ხელწერით გამოირჩეოდა, მან არქიტექტურის ნიმუშებიც შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ალბათ ფლორენციაში შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლებია... თუმცა, სახელი მაინც იმით გაითქვა, რაც ზემოთ აღვნიშნე და ისტორიას მისი ხელნაწერების სახით შემორჩა. მონუმენტური ნაშრომზე, სახელწოდებით "მეტად სახელგანთქმული ფერმწერების, მოქანდაკეებისა და ხუროთმოძღვრების ცხოვრების აღწერა", მუშაობა მან 1550 წელს დაამთავრა, ხოლო მეორე დამატებითი გამოცემა, რომელიც ცნობილი მხატვრების პორტრეტებს მოიცავდა, 1568 წელს დაიბეჭდა. ვაზარის თხზულებები თარგმნილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. თუმცა, ჩვენამდე მოაღწია იმან, რომელიც პირველი გამოცემიდან 18 წლის შემდეგ მომზადდა, რადგანაც ვაზარის მასში დამატებითი ინფორმაციის შეტანა არ შეუწყვეტია.

იზეიმებენ, თუ არა იტალიაში 2011 წელს, ამას მაშინ შევიტყობთ, როდესაც რომის პროკურატურა საქმეს გამოიძიებს და ცნობილი იტალიელის მემკვიდრეობა სამშობლოში დარჩება, ან მეპატრონეს შეიცვლის.

„გაერთიანებული ტელეკომის" უსადენო ტელეფონის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

„გაერთიანებული ტელეკომი" 2009 წლის ნოემბრიდან უსადენო ტელეფონზე მომსახურების ახალ პირობებს სთავაზობს მომხმარებლებს. ქსელში ჩართულ აბონენტებს სამი სხვადასხვა პაკეტიდან შეეძლებათ არჩევანის გაკეთება:

პირველი პაკეტი - სააბონენტო გადასახადი 5 ლარი: 200 წუთიანი ლიმიტი შიდა ქსელში სასაუბროდ, ლიმიტს ზევით წუთში 1 თეთრი; მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 25 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

მეორე პაკეტი - სააბონენტო 7 ლარი: უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 20 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

მესამე პაკეტი - სააბონენტო 15 ლარი: უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 15 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 4 თეთრი/წუთი.

აბონენტებს პაკეტის არჩევა შეეძლებათ, როგორც ავტომატურ რეჟიმში 100-100 დარეკვით, ისე „გაერთიანებულ ტელეკომის" სერვის ცენტრში მისვლით. თუ აბონენტი არ გამოიყენებს არჩევანის უფლებას, მას გაუაქტიურდება 7 ლარიანი სააბონენტო პირობები. იურიდიულ პირებზე ამოქმედდება 15 ლარიანი პაკეტის პირობები.

სააბონენტო პაკეტის შეცვლა აბონენტს ნებისმიერ დროს შეეძლება და ეს პროცესი უფასოა. პაკეტის შესაცვლელად აბონენტმა უნდა დარეკოს 100-100ზე და ავტომატურ რეჟიმში ან ოპერატორის დახმარებით დაარეგისტრიროს სასურველი პაკეტი. ახალი პირობები აბონენტს მომდევნო თვის 1 რიცხვში ავტომატურად ჩაერთვება. გააქტიურებული პაკეტის გადამოწმება შესაძლებელია ნომერზე 100-103.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 130 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 19.00

ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
"ᲥᲐᲚᲘ ᲫᲐᲦᲚᲘᲗ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 20:00

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ
Medeski, Martin & Wood (USA)
(ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-12 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲯᲐᲖ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ)
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 20:00

ᲙᲘᲜᲝ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ
"ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ Love Story"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ᲙᲝᲙᲝ ᲨᲐᲜᲔᲚᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12.00; 14.30; 17.00; 19.30; 22.00
"Ა�გᲔᲜᲢᲘ-ᲖᲦᲕᲘᲡ �გᲝᲭᲔᲑᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 13.00; 15.00; 17,00; 19:00; 21:30.
"ᲒᲐᲦᲛᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
"ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15

ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ
"ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ Love Story"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15
"ᲒᲐᲦᲛᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 16.00; 18.00; 22.00
"ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 12 .00; 14.00; 20.00

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
"ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲗᲐᲮᲕᲔᲑᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 13.00;
"ᲦᲐᲛᲔ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 15:00; 17:00;
"ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 19:00
"ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ Love Story"
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: 21:00



ᲜᲔᲢᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲗᲘᲗᲗᲝ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ!

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ᲐᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲠᲘᲒᲘᲓᲐᲜ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ: ᲩᲔᲛᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲐ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ - "ᲙᲝᲚᲔ�გᲐ" - ᲐᲥ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲜᲔᲠᲪᲘᲘᲗᲐᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ. ᲠᲐᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ �პᲝᲔᲢᲘ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ �პᲝᲔᲢᲘ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲩᲘ �გᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲨᲘ! ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲐᲠᲘᲡ თუ ᲐᲠᲐ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲘᲡ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲮᲣᲗᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ "ᲥᲕᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐᲪ ᲬᲐᲠᲣᲛᲫᲕᲐᲠᲐ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲝᲑᲐᲐᲝ. ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲔᲚᲩᲔᲑᲐᲓ �პᲝᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲐᲥ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲑᲚᲝ ᲜᲔᲠᲣᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜ�გᲘᲖ ᲐᲘᲢᲛᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲛᲐᲠᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲐ!

ᲛᲔ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ �გᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲔᲠᲝᲑᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜ "�თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ". ᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲙᲣᲠᲡᲔᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲐᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲡ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ. ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲠᲐᲣᲚᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲔᲠᲝᲓ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲐᲢᲔᲑᲐ. ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲛᲬᲝᲕᲐᲚᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ, ᲬᲔᲚᲡ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ: "ᲣᲕᲐᲓᲝ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ". ᲘᲒᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲢᲘᲢᲣᲚᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲖᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲐ: "ᲩᲔᲛᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ", "ᲠᲝᲚᲘ", "FMᲔᲠᲐ", "ᲛᲝᲤᲔᲠᲔᲑᲐ" ᲓᲐ "ᲣᲕᲐᲓᲝ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ".

ᲔᲡ 625-�გᲕᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲯᲐᲛᲔᲑᲡ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲘᲓ ᲔᲢᲐ�პᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲬᲘᲗᲚᲘ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲞᲝᲕᲘᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲗ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ. ᲟᲐᲜᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲔᲡ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲗᲘᲐ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲘᲓ ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲗᲝᲛᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ. ᲛᲔ ᲐᲥ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲗᲕᲐᲚᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲭᲕᲘᲡ თᲕᲐᲚᲘᲗ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ. ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲘᲓᲝ" ᲓᲐᲣᲠᲥᲛᲔᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲓ �გᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ ᲧᲓᲐᲖᲔ.

ᲛᲔ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ ᲧᲓᲐᲖᲔ.

ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲣᲞᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲛᲚᲣᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲣ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲯᲝᲜᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲐᲛᲓᲔ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲞᲝᲕᲘᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲗ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ. ᲯᲐᲜᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲔᲡ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲗᲘᲐ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲗᲐᲜᲓᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ" ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲗ ᲛᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲛᲝ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲝᲠᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ. ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲠᲐᲣᲚᲛᲐ "ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ" ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ. ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲣᲚᲘ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲓᲐᲛᲘ ᲛᲝᲛᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲦᲝᲑᲝ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ.

ᲩᲔᲛᲓᲐᲛᲘ ᲛᲝᲛᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲘᲛ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲚᲔᲥᲡᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲠᲐᲣᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲡ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ - "ᲛᲝᲤᲔᲠᲔᲑᲐ" ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ �გᲐᲠᲔᲛᲝᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘᲗᲐᲐ �გᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲗᲣ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ �გᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲕᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲠᲐᲣᲚᲘ - ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲘᲕᲘᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲠᲝᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝᲗ.

ᲠᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲒᲕᲘᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲛᲔ ᲒᲕᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲡ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲒᲕᲘᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ.

ᲐᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲛ ᲛᲘᲘᲞᲐᲢᲘᲟᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ �გᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ (ᲕᲠᲪᲔᲚᲘ) ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲡ:

**"ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ: ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦ

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონში ბაზალეთის ყოფილი პანსიონატის ტერიტორიაზე არსებული სატუმბო სადგურის და გარე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია
სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/62-2009

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **დუშეთის რაიონში ბაზალეთის ყოფილი პანსიონატის ტერიტორიაზე არსებული სატუმბო სადგურის და გარე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია (ტენდერის ნომერი: SB/IDP/CW/62-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი
გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757
სალარე ანგარიშის N: 340 800 01
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 28 ოქტომბრის 12:00 საათიდან 16 ნოემბრის 12:00 საათამდე.

3. შესყიდვის ობიექტი და განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერა:

დუშეთის რაიონში ბაზალეთის ყოფილი პანსიონატის ტერიტორიაზე არსებული სატუმბო სადგურის და გარე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია

სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:
- სატუმბო სადგურის მოწყობას;
- არსებული რეზერვუარის გადახურვას;
- არსებულ საკანალიზაციო ჭასთან გადამრთველი ჭის მოწყობას;
- სამორიგეო ჯიხურის მოწყობას;
- საკანალიზაციო რეზერვუარის ტერიტორიის კეთილმოწყობას;
- საკანალიზაციო შემკრებ რეზერვუართან შემაერთებელი მილსადენის მოწყობას L=90 მ;
- სადაწნეო-საკანალიზაციო მაგისტრალური კოლექტორის მოწყობას L=230მ;
- საკანალიზაციო მაგისტრალური კოლექტორის მოწყობას პოლიეთილენის დ=200 მმ მილით L=4300 მ;
- არსებული მაგისტრალური კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენას;

დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. სამუშაოების შესრულების სასურველი ვადა შეადგენს 5 თვეს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

6. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები:
- ერთობლივი შემოსავალი ბოლო სამი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს **მინიმუმ 3.8 მლნ. ლარს.** აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ბოლო სამი კალენდარული წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის ასლი ან დუბლიკატი.
- პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით.

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენაციას განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 28 ოქტომბრიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 13:00 საათამდე.

9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

10. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების **1%-ის** ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედები ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 16 ნოემბერის 12:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

12. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 16 ნოემბერის 12:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

14. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

15. 2009 წლის **16 ნოემბერის 12:00** საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

16. **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართი:**
საქართველო, ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, მესამე სართული;
ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15
ფაქსი: +995 32 48 45 55
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge

17. დამატებითი ინფორმაციის გამცემი უფლებამოსილი პირია ბ-ნი მალხაზ ხურცილავა, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მგფ-ს შესყიდვების სამმართველოს უფროსი. საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია წინამდებარე განცხადების მე-16 მუხლში.

ქ.თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

2009 წლის 22 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი N10, N19, N21, N22, N23, N24 და N25 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი N 10
მიწის ნაკვეთის მისამართი -დასახლება მუხიანი რადიოქარხნის მოპირდაპირედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.11.17.005.014)
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 2858 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საცხოვრებელი ზონის ფუნქციით.(სზ)
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 20 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 22864 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს

ლოტი N 19
მიწის ნაკვეთის მისამართი -მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.11.12.015.086)
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 930 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის ფუნქცია - მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის ფუნქციით.(სზ-6)
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 90 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 33480 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 21
მიწის ნაკვეთის მისამართი - სოფელ დიღომში არსებული (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N72.14.20.008) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 1143კვმ.
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 4327 კვ.მ.
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - საწყისი ფასი 224000 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 1000 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 89600 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.

ლოტი: N22
N116 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის **ჯართი -** 0.19 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 19 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი
აუქციონის პირობებად განისაზღვროს:
- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N116 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა აუქციონის ჩატარებიდან 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- საპრივატიზებო თანხის გადახდა ზუსტი წონის დადგენიდან 30 დღის ვადაში

ლოტი N23
N77 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის **ჯართი** - 0.09 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 9 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი
აუქციონის პირობებად განისაზღვროს:
- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N77 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა აუქციონის ჩატარებიდან 21 Dდღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- საპრივატიზებო თანხის გადახდა ზუსტი წონის დადგენიდან 30 Dდღის ვადაში

Lლოტი N24
სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ბალანსზე რიცხული შავი ლითონის ჯართი 1842კგ
საწყისი საპრივატიზებო ფასი - 250 ლარი (1 ტონაზე გაანგარიშებით)
"ბე"-ს ოდენობა 185 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 5 ლარი (1 ტონაზე გაანგარიშებით)
აუქციონის პირობებად განისაზღვროს:
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა 30 დღის განმავლობაში.

ლოტი N25
ვაკე საბურთალოს რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ჯართი - 17 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 1700 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი
აუქციონის პირობებად განისაზღვროს:
- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ვაკე საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენელთან და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა აუქციონის ჩატარებიდან 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- საპრივატიზებო თანხის გადახდა ზუსტი წონის დადგენიდან 30 დღის ვადაში.

უნივერსიტეტი - ჩვენ ვცოცხლობთ!

ჩვენს ქვეყანაში განათლების მდგომარეობაზე, უფრო სასკოლო განათლებაზე, ბევრს მსჯელობენ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ სასკოლო განათლება საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია, შექმნა მისი შეფასების ობიექტური კრიტერიუმები და მდგომარეობის გამოსწორების გზების ძიებასაც შეუწყო ხელი.

შედარებით ნაკლებად შუქდება უმაღლესი განათლების სისტემა, ანუ საქართველოს უნივერსიტეტები. თუ დაიწერა რამე, აუცილებლად შავი პიარის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს და კამპანიის ხასიათს უნდა ატარებდეს, რა თქმა უნდა, ყვითელ პრესაში.

დასავლური ცივილიზაციის ქვეყნებში უნივერსიტეტის უზარმაზარი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა ისტორიულად ჩამოყალიბდა.

შუა საუკუნეებში უნივერსიტეტების დაარსება ახალი ევროპის დაბადების პირველი ნიშანი იყო. პირველი ევროპული უნივერსიტეტები იყო და არის იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის სიამაყის საგანი. უნივერსიტეტის დაარსებას საქართველოსათვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დამოუკიდებელი, სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს, საზოგადოებრივი სიმწიფის ნიშანს.

თბილისის უნივერსიტეტმა მისი დამფუძნებლების იმედები გაამართლა - ის ღრმა ცოდნის, ფუნდამენტური მეცნიერებების დაუფლების, სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი კერა გახდა, სადაც კვლევითი მუშაობა სამეცნიერო პრობლემატიკის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, მიღწევები კი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წინსვლას ემსახურებოდა.

ეპოქა შეიცვალა. ქვეყანა თავისუფალ სახელმწიფოდ იქცა.

თავისუფლების ისტორიულად ქმედითი მოთხოვნილება ყალიბდება მაშინ, როდესაც ერში თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს და მის საუკეთესო წარმომადგენელთა ცნობიერებაში ისტორიულ გამოცდილებაზე და მაღალ ფასეულობებზე დაფუძნებილი საკუთარი გზის გააზრებული ხედვა ყალიბდება. თუ ეს პირობები არ შესრულდა, ისტორიული მასშტაბის პოზიტიური ძვრები ვერ განხორციელდება.

განთავისუფლებული ქვეყნის უმთავრესი მიზანი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებაა, გაგებული დღევანდელი და შორეული სტრატეგიული მოთხოვნილებების სრულ მრავალსახეობაში. უსაფრთხოების საფუძველს, ბუნებრივ რესურსებთან ერთად, საზოგადოების ინტელექტუალური რესურსებიც წარმოადგენს. სახელმწიფო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული საზოგადოების ამ რესურსების სრულფასოვან რეალიზაციაში, რაც სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს, პირველ რიგში - ისევ და ისევ, სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას, თვითკმარობას, კონკურენტუნარიანობას ემსახურება. აქედან გამომდინარეობს ცივილიზებულ სამყაროში მეცნიერების განვითარებისა და ინტელექტუალური ელიტის მიმართ არსებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

მართლაც, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, თანამედროვე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია სასკოლო და უმაღლესი განათლების მაღალი დონის, მეცნიერების ახალი მიმართულებების, თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების, ახალ ცოდნას დაუფლებული სპეციალისტების გარეშე.

დღეს საქართველოში ორმოცდაათზე მეტი ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და სამოცდაათამდე კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებს, რომელთა დანიშნულება სწორედ ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი სტრატეგიული მიმართულების - ერის ინტელექტუალური კადრების კვლავწარმოების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

უმაღლესი სკოლის მხრიდან, ამ ამოცანის შესრულების ერთ-ერთ პირობას უნივერსიტეტის სათანადო სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის დონე განაპირობებს. კვლევითი უნარის სარწმუნო ინდიკატორს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ექსპერტულად შეფასებული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და სპექტრი წარმოადგენს. უცხოელ ექსპერტთა მაღალი შეფასება ფონდში წარდგენილ პროექტთა 60% იმსახურებს. ეს ადასტურებს, რომ ქვეყანა საკმარის სამეცნიერო პოტენციალს ფლობს.

ფონდის დაარსებამ და მუშაობამ ახალი რეალობა შექმნა - დღეისათვის საქართველოს მეცნიერება სტრუქტურირებულია მეცნიერთა დამოუკიდებელ "კორპორაციებათ", რომლებშიც ჭეშმარიტი სამეცნიერო იერარქია ყალიბდება. ეს სამეცნიერო სექტორის რეფორმის ნამდვილი წარმატებაა. ეს კორპორაციები, უნივერსიტეტებს შიგნით, თუ გარეთ, საკუთარი თავის შენახვის და განახლების აუცილებლობის გამო, ქვეყნისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების ფუნქციასაც უზრუნველყოფენ.

თსუ-ს სამეცნიერო სექტორი ღირსეულად არის წარმოდგენილი ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის. აღსანიშნავია, რომ კვლევითი პროექტების რაოდენობის მხრივ თსუ ბევრად უსწრებს საქართველოს სხვა ნებისმიერ სამეცნიერო ინსტიტუციას, ხოლო თემების მრავალფეროვნებით - ქვეყნის სამეცნიერო სპექტრის იდენტურია.

უნივერსიტეტი გახდა სამეცნიერო-კვლევითი გარემოს ორგანიზაციის მეტად პროგრესული მიდგომის რეალიზაციის ასპარეზი - სრულიად ღიად, ნებაყოფლობით, მეცნიერები გაერთიანდნენ საფაკულტეტო კვლევით ინსტიტუტებში, საჯაროდ დაიცვეს თავიანთი მოსაზრებები კვლევითი მიმართულებების, საორგანიზაციო სტრუქტურის თაობაზე და სამოქმედო გეგმები დასახეს. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩვიდმეტი ასეთი გაერთიანება ჩამოყალიბდა. მათი ბედი მათივე ხელშია. ეს გაერთიანებები ღიაა კოლეგებისათვის ძალების გასაერთიანებლად და ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

განათლების მიღების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი, კონსტიტუციური უფლებაა. ცივილიზებული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკა ხელს უწყობს ყოველი მოქალაქის ბუნებრივი უნარის სრულფასოვან, მაქსიმალურ რეალიზაციას, რაც სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება. ამიტომ სახელმწიფო ყოველ მოქალაქეს უქმნის იმ მაქსიმალური განათლების მიღების შესაძლებლობას, რაც ამ მოქალაქის ნიჭითა და ინტელექტით განისაზღვრება.

მეორე პირობა, რომელიც აუცილებელია, რათა უნივერსიტეტმა საკუთარი მისია წარმატებულად შეასრულოს - სტუდენტის კარგი სასკოლო მომზადება წარმოადგენს. ამიტომ უნივერსიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი, კარგად მომზადებული აბიტურიენტი მოიზიდოს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასკოლო განათლების სფეროში მომხდარი ძვრები - საგნების ტრიმესტრულ სწავლების რეჟიმზე უარის თქმა, ეროვნული სასწავლო გეგმის შეცვლა და საბუნებისმეტყველო საგნების საათების გაზრდა, მეოთხე აუცილებელი გამოცდის შემოღება და სხვა, აქტიურად განიხილებოდა უნივერსიტეტში და მხარდაჭერილია მის მიერ. პოპულარული ლექციები სკოლებისათვის საფუძვლიანად დამკვიდრდა უნივერსიტეტში.

ეროვნული გამოცდების შედეგების, ისევე როგორც სამეცნიერო ფონდის საექსპერტო დასკვნების ანალიზი და ინტერპრეტაცია, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ობიექტური ანალიზისა და მართვის სამეცნიერო მეთოდების დანერგვის პირველი ნაბიჯია. სისტემის "ჯანმრთელობის" მდგომარეობის კიდევ ერთი ინდიკატორი მივიღეთ წელს ეროვნული სამაგისტრო გამოცდის სახით. მსგავსი, ობიექტური ინდიკატორების შექმნის პროცესი უსათოოდ უნდა გაგრძელდეს და გავრცელდეს როგორც სკოლაზე - მაგალითად ეროვნული გამოცდა მეცხრე და დამამთავრებელ კლასებში, აგრეთვე უნივერსიტეტებზეც. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში საგამოცდო ცენტრის ფუნქციონირება სწავლის პროცესის კონტროლის და სისტემური გაუმჯობესების მართვის პირველ შედეგებს უკვე იძლევა. ეს გამოცდილება აუცილებლად უნდა გავრცელდეს მსხვილ უნივერსიტეტებზე.

ამა თუ იმ უნივერსიტეტის არჩევა საზოგადოების (აბიტურიენტისა და მისი ოჯახის) თავისებურ პროგნოზსა და ნდობას გამოხატავს ამ კონკრეტული სასწავლო დაწესებულების მიმართ, რწმენას, რომ ამ უნივერსიტეტში ახალგაზრდას ხარისხიანი უმაღლესი განათლებისა და პროფესიული კომპეტენციის დაუფლების რეალური შესაძლებლობა ექნება.

ეროვნული საგამოცდო ცენტრის საჯაროდ მისაწვდომი ინფორმაცია უკვე გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სკოლის მდგომარეობა და ვიმსჯელოთ თითოეული უნივერსიტეტის მისიის შესრულების სავარაუდო წარმატებაზე. ჩატარებული კვლევის შედეგად ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში დღეს უდაო ლიდერის პოზიცია უჭირავს. ეროვნული გამოცდა გვაძლევს სწავლის შედეგიანობის პროგნოზირების საშუალებას.



თსუ-ს 2009 წლის პირველკურსელების რაოდენობა შეუდარებლად დიდია ვიდრე სხვა უნივერსიტეტებში, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ერთიანი გამოცდების შედეგებითაც თსუ-ს პირველკურსელებს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს სტუდენტობა, სპეციალობის არჩევისას, არც მათემატიკისა და არჩევითი საგნების ჩაბარებას შეუშინდა.

დასავლეთმა საბედნიეროდ, თითქმის ათი წელია, რაც დაიწყო ლიბერალური განათლების "სატყუარასაგან" განთავისუფლება, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების, ფუნდამენტური მეცნიერებების, გამოყენებითი და საინჟინრო მეცნიერებებისა და დარგების განვითარებაზე ზრუნვა. ამ განკურნების პროცესს ჩვენ, სამწუხაროდ, ჩამოვრჩით, თუმცა, როგორც ვნახეთ, წინსვლის საფუძვლიანი, საიმედო პლაცდარმი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით, მაინც შევინარჩუნეთ.

"ჩვენ ვიცით, რომ მომავალი თაობების პროგრესი და კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვასწავლით ჩვენ ეხლა ახალგაზრდა თაობას, მე ვაცხადებ ახალ გადაწყვეტილებას: მათემატიკური და საბუნებისმეტყველო გამათლების ხელშეწყობა.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მომზადების დონე არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ამ საგნებში მოსწავლეების წარმატებასა თუ წარუმატებლობას განაპირობებს.

რადიკალურად უნდა ამაღლდეს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლების შედეგები, საგნობრივი სტანდარტების ამაღლებით, სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზებით, სასწავლო გეგმების განახლებით, პარტნიორობის ძიებით, რათა მეცნიერება და ტექნოლოგიები მეტად იყოს წარმოდგენილი ჩვენს საკლასო ოთახებში.

უნდა გაუმჯობესდეს მასწავლებლების მომზადება, მოწვეულ იქნან მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ახალი, მაღალკვალიფიცირებული მასწავლებლები, რომლებიც შესძლებენ მოსწავლეების დაინტერესებასა და ამ საგნების სკოლებში სწავლების გამოცოცხლებას".

ეს აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას სიტყვებია, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ დღევანდელი ცივილიზებული სამყაროს დამოკიდებულებას განათლებისა და მეცნიერების მიმართ და ყველაზე უკეთესი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ - ჩვენც ამ მოწოდებით ვიხელმძღვანელოთ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
პროფესორი ლევი გეონჯიანი

განცხადება ტენდერში
გამარჯვებულად ცნობის შესახებ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 18 აგვისტოს ჩატარებულ ტენდერში "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაიმარჯვა შ.პ.ს. "კომფორტი 2008+"-მა.

სპორტი

ქართველი 17 წლამდელები - ელიტაში

მიხეილ აბაიშვილი

გიორგი ჭანტურიას დუბლმა ქართველი 17-წლამდელები ელიტაში გაიყვანა

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია: შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა და ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია თუნდაც იმიტომ, რომ პირველ მატჩში ჩვენი გუნდი დამარცხდა პორტუგალიასთან - 0:2, რაც, თუ საგზურის მოპოვება გვინდოდა, დარჩენილ შეხვედრებში ქულის დაკარგვის უფლებას არ გვაძლევდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ წაგებას სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. თბილისიდან ედინბურგში გამგზავრების დროს წარმოქმნილ პრობლემებზე აღარ შევჩერდები - ამის თაობაზე "24 საათი" ადრე წერდა. ამას ისიც დაემატა, რომ პორტუგალიელებმა ინფორმაციის გაცვლაზე მიღწეული შეთანხმების თაობაზე პირი გაგვიტეხეს.

"ვაღიარებ, რომ ამ მარცხში ჩემი პასუხისმგებლობაცაა და გარკვეული შეცდომები დავუშვი. თუმცა, იმ გარემოებამაც იმოქმედა, რომ მეტოქე გუნდთან დაკავშირებით თითქმის არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა. არადა, შეთანხმებული ვიყავით, რომ ჩვენი თამაშების ვიდეოჩანაწერებს გავცვლიდით. პორტუგალიაში გავგზავნეთ კიდევ პალანგის ტურნირზე ჩვენი ნაკრების მიერ ჩატარებული თამაშების ვიდეოჩანაწერები. სამწუხაროდ, იგივე არ გააკეთეს პორტუგალიელებმა, რის გამოც არათანაბარ პირობებში აღმოვჩნდით. თამაშს აშკარად ეტყობოდა, რომ მათ კარგად ვყავდით შესაწავლილი, ჩვენ კი დასკვნების გამოტანა და კორექტივების შეტანა მატჩის მსვლელობისას გვიხდებოდა", - განაცხადა თბილისში გუშინ დაბრუნებულმა გიორგი დევდარიანმა.

ის, რომ თუნდაც მინიმალური ინფორმაციის არსებობას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ორმა თამაშმაც დაადასტურა. ჩვენმა გუნდმა მოიპოვა მომდევნო ორი მეტოქის ურთიერთშეხვედრის ვიდეოჩანაწერი და გაცილებით მომზადებული შეხვდა ტურნირის გადამწყვეტ თამაშებს. ჯგუფის მეორე მატჩში საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა ურთულესი ამოცანა გადაჭრა: მასპინძლების - შოტლანდიის გუნდი დაამარცხა (2:1). ორი თამაშის შემდეგ ჩვენებს გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი სხვაობა დაუგროვდათ (-1). ამ მაჩვენებლით მესამე - დასკვნით თამაშში ჩვენს მეტოქეს და ელიტრაუნდის მეორე საგზურისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტს - კვიპროსს ერთბურთიანი უპირატესობა ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყაიმი კვიპროსელებს აძლევდა ხელს, ჩვენ კი ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება მხოლოდ კუნძულელების დამარცხების შედეგად შეგვეძლო. მძიმე ბრძოლაში ჩვენმა 17 წლამდელებმა ხასიათის სიმტკიცე, ბრწყინვალე ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მზაობა გამოავლინეს და ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა გაგნიძემ, რასაც შვიდ წუთში სხირტლაძის გოლი მოჰყვა. თითქოს მეტოქე უკვე გატეხილი იყო, მაგრამ... ზუსტად ერთ წუთში კვიპროსელებმა საპასუხო გოლი გაიტანეს. 49-ე წუთზე უხეში თამაშისთვის მსაჯმა ხოჭოლავა გააძევა მოედნიდან. მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით. მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მეტოქემ კიდევ ერთი გოლი გაგვიტანა და ანგარიში გათანაბრდა. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ სიტუაციაში ჩვენი 17 წლამდელები საკუთარ თავში ძალას იპოვიდნენ და მატჩის ბედის ჩარხს ისევ თავის სასარგებლოდ შემოატრიალებდნენ. ამ წუთებში ლიდერის ფუნქცია იტვირთა გია ჭანტურიამ, რომელმაც 61-ე და 70-ე წუთებზე ორი გოლი გაუტანა კვიპროსელებს. საქართველოს ნაკრებმა შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება და საქმის გამარჯვებამდე მიყვანა. ამ მართლაც საფეხბურთო თრილერის სცენარით წარმართულ მატჩში ჩვენმა მეკარემ, ლეგაშვილმა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმაც მოიგერია. რაც შეეხება ჭანტურიას, ის "ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიაში ირიცხებოდა. ახლა კი რანგით წინ წაიწია - კატალონიის სიამაყესთან ერთწლიანი ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა.

"ჩემი და ფეხბურთელების მოკრძალებული სურვილი იყო, რომ ამ ტურნირზე გამგზავრებამდე ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს, ილია მეორეს გზა დაელოცა. ბედნიერები ვართ, რომ მან თავისი ლოცვა-კურთხევა გაგვაყოლა. ერთი წამითაც არ შეგვპარვია ეჭვი, რომ პროგრამა მინიმუმს შევასრულებდით და ელიტრაუნდის საგზურს მოვიპოვებდით", - აღნიშნა 17 წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა.

ეს გუნდი, რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდება, 2010 წლის მარტში ფინალური ეტაპისწინა ელიტრაუნდში იასპარეზებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას სურს, რომ ელიტრაუნდის იმ ჯგუფის თამაშები, რომელშიც საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები მოხვდება, თბილისში ჩატარდეს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

"ახლა საჭირო დოკუმენტაციას ვაგროვებთ. უეფაში უკვე გავმართეთ კონსულტაციები. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თბილისს ელიტრაუნდის ჯგუფური ეტაპის მასპინძლობის პატივი დასდონ. ასეთი ტურნირის მასპინძლობის გამოცდილებასთან ერთად, საქართველოს ყველა რესურსი აქვს. იმედი გვაქვს, უეფაში ჩვენს პრეტენზიებს საფუძვლიანად ცნობენ", - განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ.

კენჭისყრა, რომელზეც გაირკვევა ელიტრაუნდში საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების მეტოქეთა ვინაობა, დეკემბერში, უეფას შტაბბინაში გაიმართება. თუ დევდარიანის შეგირდები ელიტრაუნდშიც წარმატებით იასპარეზებენ, გავლენ ფინალურ ეტაპზე, რომელიც 2010 წლის მაისში ლიხტენშტაინში გაიმართება.

ნინო სალუქვაძემ მსოფლიოს სუპერთასი მოიგო

27 ოქტომბერს ჩინეთის ქალაქმა ვუქსმა ტყვიით მსროლელთა შორის მსოფლიოს სუპერთასს უმასპინძლა. 11 საუკეთესო სპორტსმენს შორის ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძეც იყო. მან მსოფლიოს უძლიერეს მსროლელთა შორის 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში არავის დაუთმო პირველობა და ჩემპიონი გახდა.

ჩინეთში ჩატარებული სუპერთასისთვის მსროლელები წლევანდელ მსოფლიოს თასებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით შეირჩნენ. საკვალიფიკაციო სროლების შემდეგ სალუქვაძეს 294 და 295 ქულა ჰქონდა, სულ 589 ქულა, რასაც ფინალურ ეტაპზე 200.5 ქულა დაემატა.

ქართველმა ტყვიით მსროლელმა საერთო ჯამში 789.5 ქულა დააგროვა, რაც მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გამოდგა. 787.8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჩინელი ინგ ჩენი, ხოლო ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა მონღოლ მუნხბაიარ დორჯსურენს - 787.2 ქულა.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

ხელბურთელები ტიტულის დასაცავად ემზადებიან

გასულ წელს საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა "ჩელენჯ ტროფი" მოიგო. 2007 წელს ჩვენმა გუნდმა ჯგუფური ეტაპი თბილისში ითამაშა და მოიგო კიდეც. 2008 წელს კი, 20 იანვარს, ლუქსემბურგის ნაკრებს ფინალური მატჩი მოუგო და ტიტულს დაეუფლა.

30 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე მორიგი "ჩელენჯ ტროფის" გათამაშება იწყება. ამჯერად ჯგუფურ ეტაპს მოლდოვა უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები ჯგუფში მოლდოვის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოხვდა. ჯგუფური ეტაპისთვის მზადება ჩვენმა ბიჭებმა უკვე დაიწყეს. ფინალურ მატჩში ჩვენს ჯგუფში გამარჯვებული მეორე ჯგუფის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

ფინალური შეხვედრა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს ჩატარდება. 19-31 იანვარს მას ავსტრია უმასპინძლებს.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ "ჩელენჯ ტროფის" ფინალი შეგნებულად დაამთხვია ევროპირველობას, რითაც ტურნირის პოპულარიზაციას ეწევა.

საქართველოს ნაკრები მოლდოვაში 29 ოქტომბერს გაემგზავრება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა "ჩელენჯ ტროფისთვის"

მეკარეები: შოთა თევზაძე ("ბაკაუ", რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე ("სტუ-შევარდენი").

მოედნის მოთამაშეები: სერგო დათუკაშვილი ("გორენიე", სლოვენია), ვლადიმერ რუსია ("ოდორ-ჰესი', რუმინეთი), რატი მსხვილიძე ("მეტალოპლასტიკა", სერბეთი), რევაზ ჭანტურია ('მეტალურგი", მაკედონია), ირაკლი ჩიქოვანი ("მეტალოპლასტიკა", სერბეთი), ილია გოგალაძე ("სტუ"), უჩა მაისურაძე ("თბილისი"), ვანო ქარდავა ("თბილისი"), შოთა გრიშიკაშვილი ("ართვინი", თურქეთი), ამირან ყიფიანი ("სტუ"), გიორგი წივწივაძე ("თბილისი"), აკაკი ტალახაძე ("სტუ"), ტიტე კალანდაძე ("თბილისი"), გიორგი კობახიძე ("სტუ"), სერგეი კირილოვი (პოლონეთი).

მთავარი მწვრთნელი: მერაბ მეტრეველი.

მწვრთნელი: ირაკლი კეკელიძე.

"ჩელენჯ ტროფი 2009-2010"

შესარჩევი ეტაპი

A ჯგუფი

საქართველო
მოლდოვა
სომხეთი
აზერბაიჯანი

30 ოქტომბერი

საქართველო - აზერბაიჯანი

31 ოქტომბერი

საქართველო - სომხეთი

1 ნოემბერი

საქართველო - მოლდოვა

გამყრელიძე გერმანიას იპყრობს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების უკანახაზელი ლაშა გამყრელიძე სწრაფად ჩამოყალიბდა გერმანული "მიტელდოიჩერის" ლიდერად. გერმანიის პირველობაზე ლაშას გუნდმა

ხუთი მატჩი გამართა და აქედან ოთხში გაიმარჯვა. მორიგ ტურში "მიტელდოიჩერი" სტუმრად შეხვდა "ფენიქს ჰაგენს" და მეტოქე 85:75 დაამარცხა. ტრადიციულად, თავისი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა გამყრელიძემ, რომელიც ამჯერადაც ძირითად ხუთეულში თამაშობდა.

ლაშამ 4-დან 2 ორქულიანი, 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 8 ქულას კი 7 შედეგიანი პასი და 5 მოხსნა წაამატა.

ქართველმა გამთამაშებელმა 27 წუთში ერთადერთხელ დაკარგა ბურთი და სამი პერსონალური ფოლი მიიღო.

გამყრელიძეს აჯობა მხოლოდ ივან ელიოტმა, რომელმაც სტუმრებს 28 წუთში 19 ქულა და 9 მოხსნა შესძინა.

30 ოქტომბერს "მიტელდოიჩერი" "სკაილაინერსს" უმასპინძლებს.

რუსულმა მედიამ სირაძეს გარჯა დაუფასა

რუსულმა სპორტულმა გამოცემა "სპორტ ექსპრესმა" ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი ფორვარდი დავით სირაძე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

სირაძე მიმდინარე სეზონში ნალჩიკელთა სასტარტო შემადგენლობაში პირველად კვირას, სანქტ-პეტერბურგის "ზენიტთან" სტუმრად გამართულ მატჩში გამოჩნდა. მე-10 წუთზე, როცა მისი გუნდი 0:1 მარცხდებოდა, მან მოხდენილი შორეული დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

"შალკეს" ნოიერის გაყიდვა მოუწევს

გელზენკირხენის "შალკეს" ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ რთულია. კლუბის ვალი 236 მილიონ ევროს აღემატება და შესაძლოა გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა დასჭირდეს. ამას წინათ ფელიქს მაგათმა თქვა კიდეც, რაფინიას უპრობლემოდ გავიყიდიო. თუმცა ამჯერად ბრაზილიელ მცველზე როდია საუბარი. "შალკეს" ალბათ მეკარე მანუელ ნოიერის გაყიდვა მოუწევს. ზაფხულში მიუნხენის "ბაიერნი" ძალ-ღონეს არ იშურებდა ნიჭიერი ახალგაზრდა მეკარის შესაძენად, მაგრამ მაგათმა ნოიერის გაშვება არ ისურვა, თქვა, რომ ამ მის სახელს "შალკეს" მომავალი უკავშირდება. ახლა კი ვითარება შეიცვალა. ცნობილი გერმანელი ჟურნალისტის გიუნტერ იაუხის თქმით, ნოიერი თითქმის უკვე "ბაიერნის" ფეხბურთელია.

"სანდო წყაროებიდან ვიცი და შემიძლია ამაზე ნებისმიერს დავენაძლევო, რომ "ბაიერნში" ნოიერის გადასვლა უკვე გადაწყვეტილია," - აღნიშნა იაუხმა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გამოსვლისას.

იმავე წყაროებზე დაყრდნობით, რომელთა ვინაობა, ცხადია, არ გაუმხელია, მან ამ სავარაუდო ტრანსფერის ღირებულებაც დაასახელა - "ბაიერნი" ნოიერს 18 მილიონ ევროდ ყიდულობს.

რუსულმა არმიამ რამოსს სლუცკი ამჯობინა

სეზონის დასაწყისში მოსკოვის ცსკას მთავარ მწვრთნელად ცნობილი ესპანელი სპეციალისტი ხუანდე რამოსი დაინიშნა. თუმცა, ეტყობა, არმიელები რამოსის მოღვაწეობით უკმაყოფილონი დარჩნენ და ესპანელთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს კონტრაქტი.

ცსკა უმწვრთნელოდ დიდხანს არ დარჩენილა - გუნდი ლეონიდ სლუცკიმ ჩაიბარა.

მხოლოდ "ბექსი"

"როსონერის" მესვეურთა თქმით, კლუბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მხოლოდ დევიდ ბექჰემს შეიძენს. გაყიდვით კი არავის გაყიდის. არადა, ბოლო ხანს იტალიაში ბევრს წერენ იმის თაობაზე, რომ "რეალიდან" გადმოსულმა ჰუნტელაარმა ვერ გაამართლა და "როსონერი" ჰოლანდიელს გაყიდის.

"არასდროს მითქვამს, რომ ფეხბურთელების გაყიდვას ვაპირებთ. იანვარში მხოლოდ ბექჰემს შევიმატებთ და ამაზე შევჩერდებით. ჰუნტელაარი არ იყიდება. ის საჯარიმოში მოთამაშე სტილის ფეხბურთელია. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ გუნდი მას სათანადოდ ვერ ამარაგებს. მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგებას და სერია A-ში, სულ მცირე, მესამე ადგილის დაკავებას ვგეგმავთ. ვფიქრობ, მიზნის მიღწევა სრულიად შესაძლებელია," - განაცხადა გალიანიმ.

არასტანდარტული "ჯიქები"

2002 წელს ვეტერანმა მორაგბეებმა კლუბი "ჯიქები" დაარსეს. იქიდან მოყოლებული, მათი შვილობილი B ლიგაში ათამაშებდა ბურთს, დღეს კი უმაღლესლიგელებად იწოდებიან. ამ ხნის განმავლობაში სერიოზულ წარმატებასაც მიაღწიეს. კლუბი, რომელსაც თითქოს ელიტაში გადასვლის შანსი არ ჰქონდა, წლეულს B ლიგაში წაუგებელი სერიით საქართველოს ჩემპიონი გახდა - ფინალში ქუთაისს სძლია და ელიტაში აღზევდა.

"ჯიქები" უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ

უმაღლეს ლიგაში გადასვლა კლუბს ერთგვარ თავის ტკივილად ექცა. საქმე ის არის, რომ "ჯიქებს" ვერ გადაუწყვეტიათ, გააკეთონ თუ არა განაცხადი ჩემპიონატში მონაწილეობაზე. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის საკითხს ფინანსური მხარე განაპირობებს. თუ განაცხადი არ გაკეთდა, მოთამაშეები იძულებული გახდებიან, სხვა კლუბებში გადავიდნენ. "ჯიქებს" კი ერთადერთ მხარდამჭერად ჰყავს ფარმაცევტული კომპანია ჯი-პი-სი, რომელიც კლუბს შეძლებისდაგვარად ეხმარება. ფიზმომზადების მწვრთნელი სერგეი ძურძუკიც ააყვანინა, მაგრამ მარტო ეს რომ არ კმარა, საქმეში ჩახედულთათვის ცხადზე ცხადია.

"ჯიქებს" იმედი აქვთ, რომ ჯი-პი-სისა და კლუბის თანამშრომლობა გაგრძელდება. სტიმული კი კლუბს ისედაც აქვს. მით უმეტეს, ახლა, როცა უმაღლეს ლიგაში დაიბევა ადგილი. მაგრამ წლების მონაგარი წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, თუ "ჯიქებს" საარსებოდ დამატებითი სახსრები არ გამოუჩნდა. მოსაგვარებელია ინფრასტრუქტურაც. დღეს "ჯიქებს" ხუთი ასაკობრივი გუნდი ჰყავს, აქედან სამი საფესტივალო ასაკის (გიორგი კაჭარავასა და აკაკი ცინცაძის ხელმძღვანელობით 120-მდე ბავშვი ვარჯიშობს. კლუბის მენეჯერი კი გიორგი ამაშუკელია). ისინი გეოფიზიკის ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე, არასტანდარტულ მოედანზე ვარჯიშობენ. არადა, საქმე თითქოს მოგვარებული იყო.

კლუბის თავმჯდომარის მოადგილის დავით გოცაძის თქმით, ეკონომიკის სამინისტროში გადაუწყვეტიათ, ფართობი გადასცემოდა საქართველოს რაგბის კავშირს, რომელიც, თავის მხრივ, მას "ჯიქებს" გადასცემდა და ამით მოედნის საკითხი მოიხსნებოდა, მაგრამ... ეს ტერიტორია ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას გადაეცა. თუ სამშენებლო კომპანიასთან რიმე კომპრომისი არ მოხერხდა, "ჯიქები" ისევ არასტანდარტული მოედნის ამარა დარჩებიან. შესაძლოა, ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნას კიდეც, მაგრამ არა სრულიად. კლუბი სპონსორისგან ერთგვარ ფინანსურ ინექციას საჭიროებს, რათა ჩემპიონატში სრულყოფილად ასპარეზობის საშუალება მიეცეს.

31 ოქტომბერს "ქისტის" თასი აიღებს სტარტს (საუბარია 2005 წელს 12 წლის ასაკში გარდაცვლილი ჯიქელის - ბექა ხუციშვილის სახელობის ტურნირზე), რომელშიც თბილისის რვა კლუბი იასპარეზებს, მათ შორის, შევჯიბრების მასპინძელი "ჯიქი". ტრადიციული ტურნირი საქართველოს რაგბის კავშირის თანადგომით ჩატარდება. კლუბში იმედი აქვთ, რომ "ყოჩების" საკუთრებაში არსებულ თასს "ჯიქები" დაიბრუნებენ.

2005 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში ჩატარებულ მოზარდთა საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატში, რომელშიც 22 ქვეყნის 36 გუნდი მონაწილეობდა, ჯიქებმა კლუბებს შორის მეხუთე, ქვეყნებს შორის კი მესამე ადგილი დაიკავეს (საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის შემდეგ), რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მეორე და მნიშვნელოვან წარმატებას კლუბმა წლეულს საქართველოს ჩემპიონატში მიაღწია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის კლუბის ახალ მწვრთნელს გია ამირხანაშვილს.

ლაშა სალუქვაძე: "ნაკრებს ქართველი მწვრთნელი სჭირდება"

ჩემპიონთა ლიგის გასული ტურის და ალბათ მთლიანად ტურნირის მთავარი სენსაცია რუსულმა კლუბმა ყაზანის "რუბინმა" მოახდინა - მან სტუმრად "ბარსელონა" დაამარცხა.

"რუბინში" რამდენიმე ქართველი ირიცხება. "ბარსელონას" წინააღმდეგ მხოლოდ ლაშა სალუქვაძემ ითამაშა და ქართველმა მცველმა ეს უმაღლეს დონეზე გააკეთა.

ყაზანელებმა გასვლით თამაშში შეძლეს ყველაზე მთავარი - ლეო მესის ნეიტრალიზაცია და ამაში ლაშას უდიდესი დამსახურებაა.

"მწვრთნელს არ მოუცია მითითება, რომ ვინმეს წინააღმდეგ პერსონალურად გვეთამაშა. როდესაც მეტოქე ჩემს ზონაში იყო, მისი ნეიტრალიზაცია მე მევალებოდა. მესის წინააღმდეგ გაორმაგებული ენერგიით მიწევდა თამაში, რადგან ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. ასეთი ფორვარდის შეჩერება ნებისმიერ მცველს გაუჭირდება. მწვრთნელმა მატჩამდე დაგვირიგა დისკები და გვთხოვა, მესის დრიბლინგზე გაგვემახვილებინა ყურადღება. გაგვაფრთხილა, რომ მის წინააღმდეგ თამაშისას მუდამ ბურთისთვის უნდა გვეყურებინა, რადგან მესი ხშირად ფეხების მოძრაობით გატყუებს. გგონია, ერთ მხარეს წავა, სინამდვილეში კი ბურთიანად სულ სხვა მხარეს მიდის. თუ მესი ცენტრში ან ფლანგზე გადაინაცვლებდა, მცველი ვალდებული იყო, არ მოსცილებოდა მას. დაცვაში მის ზონას ნახევარმცველი იკავებდა. მოკლედ, მესის წინააღმდეგ წარმატებული თამაშის ძირითადი მიზეზი მწვრთნელის სწორი მითითებები იყო", - განუცხადა ლაშა სალუქვაძემ რუს ჟურნალისტებს.



სალუქვაძემ მესის ფეხი არ გაანძრევინა

ამის შემდეგ ქართველმა მცველმა საქართველოს ნაკრებზეც ისაუბრა, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებს არ სწყალობს.

"ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ექტორ კუპერი თითქოს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებს. არადა, ჩემი აზრით, რუსული პრემიერლიგა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია. კუპერი ვერ ამჩნევდა ვერც ამისულაშვილს, ვერც გოგუას, ვერც მუჯირს, ვერც ასათიანს. საქართველოში არც ისე ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი გვყავს, რომ მათ იგნორირება გავუკეთოთ. პირადად მე ნაკრებში უკანასკნელად ბულგარელების წინააღმდეგ თბილისში გამართულ მატჩში ვითამაშე. ის მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა. არ ვიცი, რა არ მოეწონა კუპერს ჩემს თამაშში. მე მცველი ვარ და გოლი არ გაგვიშვია. ეტყობა, ჩემგან გოლის გატანას ელოდა. საერთოდ, მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში ენდობოდა მხოლოდ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩემს მშობლიურ ჩემპიონატში ისეთი დონე არ არის, რომ ახალგაზრდა იქიდან პირდაპირ ნაკრებში ათამაშო. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს სჭირდება მწვრთნელი, რომელიც გუნდში დისციპლინას დაამყარებს. უმჯობესია, თუ კუპერის შემდეგ ქართველს დანიშნავენ. ქართველმა ხომ ჩვენი მენტალიტეტი მაინც იცის", - ამბობს სალუქვაძე.

საქმე N 2/4592-09

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

15 ოქტომბერი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ელისო ტუკვაძე

მოსარჩელე: შპს "კარგი ველი"
წარმომადგენელი: აგნესა ბართაია
მოპასუხეები: გრიგოლ დუმბაძე, ლევან მინდიაშვილი, ავთანდილ კომახიძე
დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2009 წლის 17 ივნისს სარჩელი აღძრა შპს "კარგი ველი"-ს წარმომადგენელმა მოპასუხეების გრიგოლ დუმბაძის, ლევან მინდიაშვილის და ავთანდილ კომახიძის წინააღმდეგ. სარჩელში მიუთითა, რომ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად 2008 წლის 13 აგვისტოს მოპასუხეები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ შპს "კარგი ველი"-ს ოფისში სალაროში განთავსებულ სეიფში არსებულ თანხას 67650 ლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეების მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, შპს "კარგი ველი"-ს ოფისიდან გატანილი თანხა არ იქნა დაბრუნებული და მოსარჩელის ზარალი დღემდე აუნაზღაურებელია.

სარჩელის თანახმად, შპს "კარგი ველი"-ს წარმომადგენელმა მოითხოვა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის (67650 ლარი) მოპასუხეების მიერ სოლიდარულად ანაზღაურება.

შპს "კარგი ველი"-ს სარჩელი გრიგოლ დუმბაძის, ლევან მინდიაშვილის და ავთანდილ კომახიძის წინააღმდეგ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ წარმოებაშია მიღებული 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით. საქმის მომზადების მიზნით სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნათ მოპასუხეებს საქმის მასალებში დაფიქსირებულ მისამართებზე და ვერ ჩაბარდა ერთ-ერთ მოპასუხეს ავთანდილ კომახიძეს. სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხეს გაეგზავნა მისამართზე - კოსტავას 67, ბინა 29, საიდანაც გზავნილი დაბრუნდა შეტყობინებით, რომ მეზობლის განმარტებით ბინა გაყიდულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 დეკემბრის განაჩენით ირკვევა, რომ მოპასუხე ავთანდილ კომახიძე არის ძებნილი.

შპს "კარგი ველი"-ს საქმეზე 2009 წლის 15 ოქტომბერს დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა. სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოპასუხე ავთანდილ კომახიძისათვის როგორც სარჩელის, ასევე სხდომის შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. შპს "კარგი ველი"-ს სარჩელის განხილვა გადაიდო 2009 წლის 12 ნოემბერს, 12:00 საათზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე ავთანდილ კომახიძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მას უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოების, შპს "კარგი ველი"-ს მიერ აღძრული სარჩელის და დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 230-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს მოპასუხე ავთანდილ კომახიძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ, №6) მოსარჩელე შპს "კარგი ველი"-ს მიერ აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც გრიგოლ დუმბაძესთან და ლევან მინდიაშვილთან ერთად დასახელებულია სოლიდარულ მოპასუხედ. სარჩელის მიხედვით დავის საგანს წარმოადგენს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის - 67650 ლარის მოპასუხეების მიერ სოლიდარულად გადახდევინება;
2. ეცნობოს მოპასუხე ავთანდილ კომახიძეს, რომ 2009 წლის 12 ნოემბერს, 12:00 სთ-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ, №6) №21-ე დარბაზში დანიშნულია სასამართლოს მთავარი სხდომა სამოქალაქო საქმეზე შპს "კარგი ველი"-ს სარჩელთან დაკავშირებით გრიგოლ დუმბაძის, ლევან მინდიაშვილის და ავთანდილ კომახიძის წინააღმდეგ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ;
3. ეცნობოს მოპასუხე ავთანდილ კომახიძეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება და სარჩელი დაკმაყოფილდება;
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";
5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
6. ***საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ "24 საათში" უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ოქტომბრამდე,*** რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას "გაზეთ 24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;
7. სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე სასამართლო უწყება სხდომის დანიშვნის შესახებ ავთანდილ კომახიძისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
8. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: ე. ტუკვაძე

საქმე N2/5858-09

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

21 ოქტომბერი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

მოსარჩელე: ეთერ თაკალანძე
მოპასუხე: ავთანდილ ფილიშვილი
დავის საგანი: განქორწინება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ეთერ თაკალანძის სარჩელი მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილის წინააღმდეგ განქორწინების თაობაზე.

მოსარჩელემ სარჩელში განმარტა, რომ 2001 წლის 23 მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუზე ავთანდილ ფილიშვილთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შვილი არ შეძენიათ. 2003 წლის ნოემბრის თვიდან მეუღლეებს შორის ფაქტობრივად შეწყდა ურთიერთობა, დღემდე ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ოჯახის აღდგენა შეუძლებელია.

2004 წელს ავთანდილ ფილიშვილმა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით განქორწინების და ქონების გაყოფის მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა განქორწინების ნაწილში სრულად, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში ნაწილობრივ. მოსარჩელის განმარტებით განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილება ვერ აღასრულა, რადგან გაუშვა აღსრულების სამწლიანი ვადა. აღნიშნულის გამო იძულებულია სარჩელი განმეორებით აღძრას განქორწინების თაობაზე ავთანდილ ფილიშვილის წინააღმდეგ.

სარჩელს მტკიცებულებათა სახით დართული აქვს №2/2824 31.03.2004 წლის გადაწყვეტილება; ქორწინების მოწმობა.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხე ავთანჟილ ფილიშვილს გაეგზავნა მოსარჩელისათვის ცნობილ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ჩანტლაძის 12, ბინა 18 (ყოფილი ახვლედიანი); ქ. თბილისი, სამრეწველოს დასახლების ქ. №8; ასევე ახმეტის რაიონის სოფელი ახალშენი, საიდანაც გზავნილებით დაბრუნდა შეტყობინებით, რომ ადრესატი მითითებულ მისამრთზე არ ცხოვრობს, იგი წასულია საზღვარგარეთ.

მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მოსარჩელემ იშუამდგომლა გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სარჩელის და თანდართული მასალის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, ეთერ თაკალანძის მიერ აღძრული სარჩელის თაობაზე მოპასუხეს უნდა ენობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით. მითითებული მუხლის დანაწესით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. გაზეთი "24 საათი" კი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6) მოსარჩელე ეთერ თაკალანძის მიერ განქორწინების თაობაზე აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც დასახელებულია მოპასუხედ.
2. მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილს პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისათვის განესაზღვროს ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღე.
3. ეცნობოს მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში ითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს.
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში".
5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს.
6. საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ "24 საათში" უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ოქტომბრამდე, რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას "გაზეთ 24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით.
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: ე. ცისკარიძე

ვან დერ ვაარტი "რეალში" რჩება

მადრიდის "რეალი" ჰოლანდიელი ნახევარმცველის რაფაელ ვან დერ ვაარტის მოცილებას ცდილობს, თავად ფეხბურთელი კი "სამეფო კლუბთან" განშორებას არ აპირებს. მეტიც, ჰოლანდიელმა უარყო ხმები მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ, ამბობს, რომ "რეალში" თამაშის ღირსია და ამას კლუბის ხელმძღვანელობას დაუმტკიცებს კიდეც.

"სეზონის დასაწყისი გამოვტოვე, შემდეგ კი ვარჯიშებზეც ვერ გამოვიყურებოდი კარგად. ერთხანს ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა და "რეალის" ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ვიბრძოლებ. მადლობელი ვარ მწვრთნელის, რომელიც ბოლო შეხვედრებში რამდენიმე წუთით თამაშის საშუალებას მაძლევს. ყოველი შანსი უნდა გამოვიყენო და დავამტკიცო, რომ მადრიდულ კლუბში თამაშის ღირსი ვარ. გასულ სეზონში წარუმატებელი თამაშის გამო ხშირად მაკრიტიკებდნენ და ეს სრულიად ნორმალურია. პრობლემების მიუხედავად, არ ვფიქრობ, რომ "რეალი" უნდა დავტოვო," - განაცხადა ვან დერ ვაარტმა.

"ბოხუმს" ჰერლიხი ჩაიბარებს

გერმანული მედიის ინფორმაციით, "ბოხუმის" მწვრთნელის თანამდებობას, რომელიც მარსელ კოლერის გათავისუფლების შემდეგ (ბოლო ხუთი კვირის მანძილზე) ფრანკ ჰაინემანს დროებით ეკავა, 37 წლის ჰაიკო ჰერლიხი ხანგრძლივი ვადით დაიკავებს.

ტოტის ტრავმები არ ასვენებს

უიღბლოდ დაიწყო ეს სეზონი "რომას" კაპიტან ფრანჩესკო ტოტისთვის. მუდმივი ტრავმების გამო ფეხბურთელს თითქმის არც უთამაშია.

Corriere dello Sport-ის ინფორმაციით, ფეხბურთელმა ორშაბათს დილის ვარჯიში გეგმიურად დაიწყო, თუმცა ნახევარი საათის შემდეგ მზადება შეწყვიტა. ბოლო დროს ტოტიმ მუხლი არაერთხელ დაიზიანა.

ხიზანიშვილი "ბლექბერნს" დროზე გაეცალა

საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი "ბლექბერნიდან" "ნიუკასლში" გადავიდა და ჯორდულ კლუბში იჯარის წესით თამაშობს. მისთვის "ბლექბერნის" დატოვება ყოველმხრივ სასიკეთო გამოდგა. თავი რომ დავანებოთ საფეხბურთო პრაქტიკას, რომელიც ზურაბს "ბლექბერნში" თითქმის არ ჰქონია, ახლა ამ გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს. ბრიტანული მედიის ცნობით, "ბლექბერნის" რამდენიმე ფეხბურთელი "ღორის გრიპით" დაავადდა.

"დევიდ დანსა და კრის სამბას ვირუსი აღმოაჩნდათ. ეჭვი გვაქვს, რომ, მათ გარდა, ეს დაავადება კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს აქვს. იმედია, ისინი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩასატარებელი მატჩისთვის გამოჯანმრთელდებიან," - ამბობს "ბლექბერნის" მწვრთნელი.

იაკინტა დაშავდა

ტურინის "იუვენტუსის" თავდამსხმელი ვინჩენცო იაკინტა 40 დღის განმავლობაში მოედანზე ვერ გავა.

29 წლის ფეხბურთელმა გასულ შაბათს გუნდის ორმხრივი თამაშის დროს მენისკი დაიზიანა და მუხლზე ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

მიმდინარე სეზონში იაკინტამ იტალიის ჩემპიონატში 6 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლით ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

ცოტა ხნის წინ ოპერაცია დასჭირდა ტურინელთა კიდევ ერთ ფეხბურთელს - კლაუდიო მარკიზიოს.

დიეგოს ოცნება

გერმანული "ვერდერიდან" ტურინის "იუვენტუსში" გადასული ბრაზილიელი დიეგო სკუდეტოს მოგებაზე ოცნებობს.

"ჩვენ ჩემპიონობა გვსურს, ამისთვის კი აუცილებელია, ლიდერები შორს არ გავუშვათ. "სიენასთან" ურიგოდ არ გვითამაშია და მეტოქის დაცვის ხაზი საბოლოოდ მაინც გავტეხეთ. გამარჯვებამ ძალიან გამახარა. გასვლითი მატჩი მოვიგეთ. ეს კი მნიშვნელოვანია. მოპოვებულმა სამმა ქულამ სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში დარჩენის საშუალება მოგვცა და "ინტერზე" ზეწოლას განვაგრძობთ," - აცხადებს დიეგო.

"სიენა" და ყველა დანარჩენი

ზურაბ თალაკვაძე



მანუჩარ მარკოიშვილი ყველგან გამორჩეული ფიგურაა

გიორგი ბასარიძის ფოტო

უკრაინაში მანუჩარ მარკოიშვილი ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. წლევანდელი სეზონი კი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა იტალიაში, "კანტუში" დაიწყო. მანუსგან დამაჯერებელ, თავდაუზოგავ თამაშს ვართ შეჩვეულნი და ცოტა გასაკვირიც კი იყო, რომ პირველ ორ მატჩში მან ვერაფრით გამოიჩინა თავი.

მერე იყო შეხვედრა "მონტეგრანაროსთან", რომელშიც მარკოიშვილი თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 26 წუთში 13 ქულა დააგროვა, თამაშში 10-დან 5 სროლა და ერთადერთი საჯარიმო გამოიყენა, გააკეთა ერთი შედეგიანი გადაცემა და მატჩი 4 პერსონალური შენიშვნითა და ნაყოფიერების კარგი მაჩვენებლით (+8) ჩაამთავრა. მოკლედ, მანუჩარი ათამაშდა და იმედი გვაქვს, "მონტეგრანაროსთან" კარგი გამოსვლა ამ სეზონისთვის ტრადიციად იქცევა. მარკოიშვილს მის იტალიურ სტარტზე გავესაუბრეთ.

- მანუჩარ, მესამე და შენთვის ჯერჯერობით საუკეთესო მატჩამდე პირველი ორი შეხვედრა გავიხსენოთ, რომელშიც...

- ბევრი ვერაფერი გავაკეთე. ვითამაშე დაახლოებით 30 წუთი და მივიღე 9 პერსონალური შენიშვნა, ვერ გამოვიყენე ბევრი იოლი სროლა, დავუშვი შეცდომები როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. მთავარი, რამაც თავიდან ჩემი სუსტი თამაში განაპირობა, იყო ის, რომ გუნდთან ერთად სრულფასოვნად ვერ გავიარე წინასასეზონო შეკრება. ვიყავი ტრავმირებული, რის გამოც გამიცდა დიდი პერიოდი. ვერ ვითამაშე საქართველოს ნაკრების წარმატებულ შესარჩევ ციკლში. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ იტალიის ჩემპიონატი გაცილებით მაღალი დონისაა, ვიდრე უკრაინის, თუმცა იქ ერთ-ერთ გრანდში ვირიცხებოდი. გასათვალისწინებელია აკლიმატიზაციის ურთულესი პროცესიც. მთელი სამწვრთნელო შტაბი, ყველა მოთამაშე გვერდში მიდგას და ყველანაირად მეხმარებიან, მაგრამ მთავარი და ყველაზე მეტი მაინც მე უნდა გავაკეთო. ცუდად დავიწყე, თუმცა მესამე მატჩში ბევრად უკეთ ვითამაშე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ნორმალური თამაში "კანტუს" გამარჯვებას დაემთხვა. ეს ორმაგად სასიამოვნო იყო.

- მაშინ გადავიდეთ მესამე ტურის მატჩზე, რომელშიც "მონტეგრანაროს" ხვდებოდით.

- იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვისას ყველა აღნიშნავს, რომ ლიგა ორად იყოფა. ერთ მხარესაა "სიენა", მეორე მხარეს კი - ყველა დანარჩენი გუნდი. მათი უმრავლესობა "სიენასთან" მატჩში ძირითადად იმაზე ფიქრობს, რომ რაც შეიძლება ნაკლები სხვაობით დამარცხდეს, რადგან წაგებას იმთავითვე შეგუებულია. "მონტეგრანაროსთან" რთული მატჩი გვქონდა. შეხვედრის მსვლელობისას, ცენტრის გარდა, ყველა პოზიციაზე მომიხდა თამაში. თავიდან მწვრთნელმა მეტოქის ერთ-ერთი ლიდერის - რობერტ ჰაიტის წინააღმდეგ თამაში დამავალა. ჰაიტი ძლიერი მოთამაშეა, ჭკვიანი, შედეგიანი და გუნდის წარმატებას განაპირობებს. თავიდანვე შეტევაში ორი ფოლი ავკიდე, მერე კი ჰაიტმა დაკარგა თავდაჯერებულობა, ბევრი სროლა გააფუჭა. საბოლოოდ მოედანზე მხოლოდ 19 წუთი გაატარა, თანაც, უქულოდ.

- ისე, ფოლები შენც ბლომად აკრიფე.

- კი, სამწუხაროდ. ამ თამაშშიც 4 პერსონალური შენიშვნა მივიღე, თუმცა მთლიანობაში უკმაყოფილო არ ვარ საკუთარი გამოსვლით.

- ოთხ ნომერზე თამაში არ გიჭირს?

- ოთხ ნომერზე, ძირითადად, სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე მიწევს დადგომა. სამწუხაროდ, არ გვყავს ისეთი ცენტრი, რომელზეც მთელ თამაშს ავაგებდით. ესე იგი, გვყავს ნორმალური მაღლები, მაგრამ არა - დომინანტები. ხშირი როტაციის გამო კი გამთამაშებლადაც მაყენებენ, თუმცა, ძირითადად მაინც ორ-სამ ნომერზე ვთამაშობ, სადაც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს.

- ოთხი ფოლი მიიღე, მაგრამ "კანტუში" მეტოქე ყველაზე მეტჯერ - ექვსჯერ შენზე დაჯარიმდა.

- "მონტეგრანაროსთან" თავიდანვე დაგვემტვრა ძირითადი ცენტრი, ლიტველი ტაუტვიდას ლიდეკა, მოგვიხდა ბევრი რამის გადაწყობა და შედარებით დაბალი, მაგრამ სწრაფი შემადგენლობით თამაში. საერთოდ, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ნორმალურად გამოიყურებოდა ძირითადი გამთამაშებელი ოთიუს ჯეფერსი.

- ყველაზე შედეგიანი კი ურუგვაელ-იტალიელი ნიკოლას მაზარინო გახდა.

- დიახ, 19 ქულა დააგროვა. თანაც ძალიან მნიშვნელოვან, საკვანძო მომენტებში გამოიყენა შორეული ტყორცნები. მაზარინო ძირითადად შორიდან ისვრის, კარგად ამოდის "პიკიდან", არაჩვეულებრივად კითხულობს თამაშს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. "კანტუში" მას უდიდეს პატივს სცემენ - როგორც უშუალოდ კლუბში, ისე გულშემატკივრები. მაზარინოს გუნდში ხუთი სეზონი აქვს გატარებული. თან, საკმაოდ პოზიტიური ფიგურაა.

- "მონტეგრანაროს" შემადგენლობაში ბევრი პრობლემა შეგიქმნათ გრეგ ბრუნერმა.

- ცენტრისთვის დაბალია, მაგრამ კარგად იყენებს თავის ფიზიკურ მონაცემებს. იბრძვის თითოეული მოხსნისთვის, არ თმობს არც ერთ მილიმეტრს, ყოველთვის ცდილობს გუნდზე ითამაშოს და მაქსიმალურად დიდი სარგებელი მოუტანოს "მონტეგრანაროს". ეფექტურია შეტევაშიც, აქვს კარგი საშუალო სროლა, ჩვენთან კი 13 მოხსნა გააკეთა. ასევე კარგად ითამაშა ბულგარელმა დეიან ივანოვმა (18 ქულა, 8 მოხსნა, ავტ.).

- 19 ქულა დააგროვა ბრაზილიელმა მარკინიომ. მის წინააღმდეგ თუ მოგიხდა თამაში?

- კი. ჭკვიანი მოთამაშეა. პრობლემები შეგვიქმნა. მთავარი მაინც ის არის, რომ მატჩი "კანტუს" გამარჯვებით დასრულდა.

- რა პერსპექტივა აქვს ამ სეზონში "კანტუს"?

- გამოკვეთილი ფავორიტი მხოლოდ "სიენაა", სხვებს კი ერთმანეთისთვის მოგება ნებისმიერ შეხვედრაში შეუძლიათ. "სკავოლინი", რომელიც სამიდან სამი წაგებით ახლა აუტსაიდერებშია, საკმაოდ ძლიერი გუნდია, მაგრამ ორი რთული გასვლითი მატჩი ჰქონდა. ერთ-ერთში ახლოსაც კი იყო მოგებასთან.

- "ბენეტონთან" წინა ტურის მატჩს გულისხმობ?

- კი. მსაჯებმაც ბოლოში რამდენიმე სადავო გადაწყვეტილება მიიღეს მასპინძლების სასარგებლოდ, თუმცა იმის თქმაც მიჭირს, რომ "ბენეტონის" გამარჯვება ალოგიკური იყო. ასე რომ, საინტერესო ჩემპიონატი იქნება. ვნახოთ, ვის რისი თავი ექნება.

- იგივე "რომა", რომელსაც სამიდან ორი მატჩი აქვს წაგებული, გადის და ევროლიგის პირველივე ტურში დამაჯერებლად უგებს ძალიან ძლიერ ესპანურ გუნდს.

- ეს იტალიური საკლუბო კალათბურთის თანაბარ, მაღალ დონეზე მეტყველებს. "რომას" სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, რამდენიმე კარგი ამერიკელით, თუმცა გუნდს ერთი დიდი პრობლემა ექმნება. ყველა ამერიკელი, განსაკუთრებით კი იბრაჰიმ ჯხააბერი, გამორჩეული ინდივიდუალისტია. ასე რომ, როცა მოედანზე ერთდროულად არიან, "რომას", სულ მცირე, ოთხი ბურთი სჭირდება. შემადგენლობა კი მართლაც ძალიან კარგი ჰყავს. ჯილი, ჯხააბერი, ჰატსონი, უინსტონი, დე ლა ფუენტე. ბოლო ტურში "აველინოსთან" დაძაბული თამაში წააგო "რომამ". თუმცა, ამის მიუხედავად, დასკვნის გაკეთება ჯერ ადრეა. ყველაფერი წინ არის. "სიენა" კი გამორჩეული, ყველაზე მთელი თავით მაღლა მდგომი გუნდია. შემადგენლობის მხრივ არავითარი პრობლემა არა აქვს, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის აიყვანა ვეტერანი დენის მარკონატო. ცოტა თამაში უწევს, მაგრამ "სიენა" გრანდის პრინციპით მოქმედებს - ხომ შეიძლება მარკონატო სხვაგან აღმოჩენილიყო და მათ წინააღმდეგ კარგად ეთამაშა? აიყვანეს და ეს მინიპრობლემაც მოიხსნეს.

- მანუჩარ, ევროლიგას შევეხეთ და... ვინ მიგაჩნია ამ სეზონის ფავორიტებად?

- ძალიან საინტერესო სეზონი იქნება. "პანათინაიკოსს" სამი ლიდერი არ ჰყავდა "მილანთან" და მაინც მოიგო. არადა, იასიკავიჩუსი, ბატისტი და ცარცარისი გუნდისთვის დიდი ძალაა. სერიოზული გუნდი ჰყავს "ბარსელონას", რომელიც ასევე ფავორიტად მიმაჩნია. ძლიერი, მაგრამ ამ ორი გუნდივით დომინანტი ვერ არის "ოლიმპიაკოსი", თუმცა, თუ ლინას კლეიზა ასეთ ფორმაში იქნება, მაშინ ჩემპიონობის მოპოვება ამ გუნდსაც შეეძლება. და, რა თქმა უნდა, "რეალი", რომელშიც მესინაა მთავარი მწვრთნელი და შემადგენლობის მხრივაც ყველაფერი მშვენივრადაა.

- ცსკა?

- ცსკაც ძლიერი გუნდია. რუსებმა დაიტოვეს ის, ვინც უნდა დაეტოვებინათ. დიდი ძალაა ერაზემ ლორბეკი, რომელიც ბოლო წლებში ვარსკვლავად ჩამოყალიბდა, მაგრამ "პანათინაიკოსთან" შარშანდელ ფინალს თუ გავიხსენებთ, ცსკა-ს მაღლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ბატისტს, პეკოვიჩს. მთავარია, გუნდში დარჩნენ სმოდიში, შიშკაუსკასი, ჰოლდენი და ლენგდონი. ჩემი აზრით, ცსკაც ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება.

- დიდი მადლობა საუბრისთვის, ჩვენთვის გამოყოფილი დროისთვის და წარმატებას გისურვებ.

- დიდი მადლობა. თქვენც საუკეთესოს გისურვებთ.